

ტერორისტების დაგვიანებული "მილოცვა"

A2



სულთანი ნურსულთანი

A2



ბოლო აკორდი

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 13 სექტემბერი, 2006 წელი. №201 (1353)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი: თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

## ამბები

### ზღვარგადალახულები

საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 38,5 პროცენტი ცხოვრობს, მათი 20 პროცენტი კი უკიდურესად გაჭირვებულია.

A2

## ამბები

### ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისია

5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის დამკვირვებელთა მისია დაესწრება. ამის შესახებ განცხადება გუშინ, საგანგებო ბრიფინგზე, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელმა საქართველოში, იგორ გაონმა გააკეთა.

A3

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 13/09 | 14/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | 22 |
| ბათუმი | 20 | 19 |
| სოხუმი | 23 | 23 |
| ქუთაისი | 22 | 23 |
| გორი | 20 | 21 |
| თელავი | 22 | 22 |
| ონი | 15 | 17 |
| ზუგდიდი | 22 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7450 |
| ევრო | 2.2184 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2581 |
| რუბლი | 0.0652 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ტენდერი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სპორტი | A 8 |

# ქართველები ითხოვენ, ევროპარლამენტარები ფრთხილობენ

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს ხელისუფლება სულ უფრო მეტი დაჟინებით ითხოვს სამშვიდობო ფორმატის შეცვლას. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვალერი ჩეჩელაშვილმა ეს საკითხი საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომაზეც წამოწია, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობს თბილისში.

ევროპარლამენტის წარმომადგენელთა წინაშე გამოსვლისას, ქართველმა დიპლომატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის მონოპოლიური როლი უშედეგოა, ხოლო არსებული სამშვიდობო ფორმატი -არაეფექტური და საქართველოს ხელისუფლებამ ის საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ერთად უნდა შეცვალოს.

გაგრძელება A3 გვერდზე



ქართველ და ევროპელ პარლამენტართა ერთობლივი პრესკონფერენცია პარლამენტში.

# ინფლაცია - გამოწვევა საფრთხედ არ უნდა გადაიქცეს!

**B**

*ინფლაცია ფასთა საერთო დონის ზრდაა საბაზო დონესთან მიმართებაში. შესაბამისად, ინფლაცია ასევე მოიაზრება, როგორც კლება. ინფლაცია ანტონიმია. ზოგიერთ კონტექსტში სიტყვა "ინფლაცია" გამოიყენება ფული მიწოდების ზრდის მნიშვნელობით, რასაც ზოგჯერ განიხილავენ, როგორც ფასთა ზრდის მიზეზს. ზოგიერთი ეკონომისტი კვლავაც ამ განსაზღვრებას ამჯობინებს. ასე მაგალითად, 1920-იანი წლების აშშ-ს ეკონომიკის ზოგიერთი ანალიტიკოსი მიუთითებს ინფლაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ ფასები იმ პერიოდში არ იზრდებოდა.*





# მოსკოვი-თბილისი - არტისტული დიალოგი

### ვიშნევსკაიას თბილისური შთაბეჭდილებები

სოფო კიალსონია

*ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში თეატრალური სეზონი დღეს გაიხსნება. ამ საღამოს თეატრში მისული მაყურებელი არა სარეპერტუარო სპექტაკლს, არამედ მეტად საინტერესო, საგასტროლო წარმოდგენას იხილავს. საქმე ეხება გალინა ვიშნევსკაიას საოპერო ხელოვნების ცენტრს, რომელიც ამ საღამოს ვერდის "რიგოლეტოს", ხოლო 15 სექტემბერს რიმსკი-კორსაკოვის "მეფის საცოლეს" გვიჩვენებს.*

გაგრძელება A7 გვერდზე



საოპერო ცენტრის დასი.

# ფსონები კოსოვოს სტატუსზე

*რუსეთის პრეზიდენტმა კოსოვოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის კვლავ პარალელები გაავლო და დასავლეთი "ორმაგ სტანდარტებში" დაადანაშაულა. კოსოვოს სტატუსზე მოლაპარაკებები, რომელთა შედეგებს მოსკოვში და არაღიარებულ რესპუბლიკებში მოუთმენლად ელიან, ფაქტობრივად ჩიხში მოექცა. დასავლეთი კოსოვოს დამოუკიდებლობაზე ღიად მიანიშნებს, სერბეთი კი ამას რადიკალურად ეწინააღმდეგება.*

დიმიტრი ავალიანი

### მრავალსახეობა პუტინისა

**"მხოლოდ სულელებს არ ესმით, რომ მდგომარეობას კოსოვოში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მსგავსი საფუძველი აქვს,"** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა შაბათს, დასავლელ პოლიტოლოგებთან გამართულ დახურულ შეხვედრაზე, სადაც იგი ექსპერტებს რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკუთარი ხედვის შესახებ ესაუბრა. პუტინის ხსენებული განცხადება მედიას გერმანიის საგარეო პოლიტიკის საბჭოს წევრმა ალექსანდრ რარმა გააცნო. შეხვედრაზე პუტინმა დასავლეთი ორმაგი სტანდარტებისთვის გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ კოსოვოსთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, რუსეთი პოსტ-საბჭოთა სივრცეზე თავისი პოლიტიკის გადასინჯვას აპირებს.

"სულელებში" აქ, როგორც ჩანს, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის და ევროპის ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლები იგულისხმებიან, რომლებმაც კოსოვოს სტატუსის "უნიკალურობას" ხაზი არაერთხელ გაუსვეს.

რუსეთის პრეზიდენტის ექსპერტებთან შეხვედრას ესწრებოდა ვაშინგტონის მსოფლიო უსაფრთხოების ინსტიტუტის რუსეთისა და აზიური პროგრამების ცენტრის დირექტორი ნიკოლაი ზლობინიც. მისი განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტმა სიტუაციის მიმოხილვისას, დსთ-ს ქვეყნებში არსებული კონფლიქტების თემას გვერდი არ აუარა. მეტიც, მან ყველაზე დიდი დრო ამ საკითხის განხილვას დაუთმო.

**"პუტინმა მიგვახვედრა, რომ დასავლეთის პოზიცია კოსოვოსთან მიმართებაში მისთვის სრულიად გაუგებარია. მეტიც, იგი დასავლეთის ამ საკითხისადმი მიდგომას შეცდომად მიიჩნევს. მისი თქმით, კოსოვოს, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღს შორის დიდი სხვაობა როდია. თითქმის იდენტურია მათი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. პუტინმა მოუწოდა მსოფლიოს ამ საკითხისადმი მიდგომის ორმაგ სტანდარტებზე უარი თქვას და სიტუაციას რეალურად შეხედოს,"** - განაცხადა ზლობინმა პუტინის კონსტატირებისას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრეზენტაცია, რომელიც არ შედგა

### "რესპუბლიკელები" ბრძოლას პრეზენტაციის გარეშე იწყებენ

*გუშინ 15 საათისათვის დაგეგმილი, ბლოკი "ხიდაშელი-დავითაშვილი-ბერძენიშვილის" საარჩევნო სიის პრეზენტაცია არ შედგა. ღონიძიების ჩაშლა ბლოკის საარჩევნო შტაბის კოორდინატორის, წყნეთის ყოფილი გამგებლის გოგი ოძელის "მოდულში" მოულოდნელ გამოძახებას უკავშირდებოდა.*

ვერიკო თევზაძე

გლდანის მაჟორიტარმა კანდიდატმა კობა დავითაშვილმა "ნაციონალების" პარტიული კანდიდატის გიგი უგულავას მიმართ არ დაიშურა "ტკბილი სიტყვები": **"თბილისს ჰყავს მხდალი და მშიშარა მერი, რომელსაც შეეშინდა კენჭი ეყარა რომელიმე უბანში, რადგან არც ერთი უბნის მხრადაჭერის იმედი არ აქვს".**

ბლოკმა "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" ზეიმის გარეშე გამოაქვეყნა საარჩევნო სიები. ნომერ პირველი გლდანის მაჟორიტარი კანდიდატი კობა დავითაშვილი იქნება. საბურთალოს მაჟორიტარულ ოლქში თინა ხიდაშელი და ირინა იმერლიშვილი იყრიან კენჭს, მთაწმინდაზე - ლადო ვარდოსანიძე, სამგორში - გულიკო სუმბაძე, დიდუბეში - გია ხუხაშვილი, ნაძალადევში - დავით ებრალიძე, კრწანისში - პაატა ზაქარეიშვილი, ვაკეში - ვაჟა იმნაიშვილი, ისანში - ვალერი გელაშვილი, ჩუღურეთში ვალერი ბერიშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ციხის ბუნტი გარდაუვალია"

*საქართველოს პენიტენციარულ სისტემაში არსებული უმძიმესი სიტუაციის შესახებ აქტიურად საუბრობენ, როგორც სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ისე საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.*

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი Human Rights Watch-ის დირექტორის მოადგილეს რაკელ დენბერს შეხვდა. საუბარი პენიტენციარულ სისტემაში არსებულ მდგომარეობას შეეხო. დენბერმა საქართველოს ომბუდსმენს 2006 წელს საქართველოში პენიტენციარულ სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ Human Rights Watch-ის მიერ მომზადებული ანგარიში გააცნო, რომელიც უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

ჩვენი ინფორმაციით, საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიში მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესახებ შეფასებებს და ქვეყნის ხელისუფლებისთვის გაკეთებულ რეკომენდაციებს. ანგარიშში მკაცრად არის შეფასებული საქართველოს პენიტენციარულ სისტემაში არსებული უმძიმესი მდგომარეობა.

ანგარიშში შესულია ადამიანის უფლებების შემლახველი გახმაურებული ფაქტები. მათ შორის, გასულ წელს ქუთაისისა და ბათუმის საპყრობილეში მომხდარი პატიმართა ცემისა და 2006 წლის 27 მარტის ციხის "ბუნტის" ფაქტები. Human Rights Watch-ი მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, გამოიყენონ პოლიტიკური ბერკეტები და მოახდინონ ზემოქმედება ხელისუფლებაზე, რათა გაუმჯობესდეს პატიმართა საყოფაცხოვრებო, სამედიცინო დახმარების და საცხოვრებელი პირობები.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ზღვარგადალახულები

## რამდენი ღარიბი დარჩა საქართველოში

თამარ ქადაგიძე

**"2006 წლის პირველ ნახევარში საქართველოში სიღარიბის დონე 3,6 პროცენტით შემცირდა,"** - ამ ინფორმაციას სტატისტიკის დეპარტამენტი აქვეყნებს. ამ განცხადების ფონზე ირკვევა, რომ საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 38,5 პროცენტი ცხოვრობს, მათი 20 პროცენტი კი უკიდურესად გაჭირვებულია.

ახალი ინფორმაცია მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გახდა ცნობილი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის გიორგი ყაველაშვილის თქმით, მოსახლეობა ავსებს კითხვარს, სადაც დაწვრილებით წერს, თუ რა ჭამა მთელი კვირის განმავლობაში. ამ ინფორმაციაში სტატისტიკის დეპარტამენტი თითო ოჯახს 3 ლარს უხდის. კითხვარები ნებაყოფლობით ივსება. დეპარტამენტში ამბობენ, მოტყუება არც ერთი მხარის ინტერესებში არ შედის. სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით ბებიები და ბაბუები, 3 ლარის ხათრით ოჯახის წევრებს სათითაოდ უთვლიან ლუკმას და მოხმარების აგრეგატის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფოს აწვდიან.

მიღებულ ციფრებს საარსებო მინიმუმს ადარებენ და არკვევენ, თუ რამდენი ადამიანია ღარიბი. საარსებო მინიმუმი, ანუ ზღვარი სიღარიბესა და შედარებით კეთილდღეობას შორის, ფასების ცვლასთან ერთად მუდმივად მერყეობს. ამის პარალელურად მერყეობს ქვეყანაში ღარიბების რიცხვიც.

საქართველოს მოქალაქე სიღარიბის ზღვარს მიღმა რომ არ აღმოჩნდეს დღეში უნდა მიიღოს (იკვებოს) არანაკლებ 2 ათას 300 კილოკალორია, რომელიც მინიმალური სასურსათო კალათითაა განსაზღვრული. შემადგენლობა, "რეკომენდებული შრომისუნარიანი მამაკაცისთვის" შემდეგი პროდუქტების დასახელებასა და რაოდენობას შეიცავს: ხორბლის პური - 250 გრ, ლობიო - 20 გრ, მაკარონის ნაწარმი - 15 გრ, რძე - 150 გრ, ყველი - 20გრ, ძროხის, ღორის, შინაური ფრინველის ხორცის, თევზისა და ძეხვეულის ყოველდღიური ულუფის რაოდენობა 10-დან 40 გრამამდე მერყეობს. ამ ჩამონათვალში შედის სუბტროპიკული ხილიც, საკონდიტრო ნაწარმიც, ხახვის, ნიორის, ყველანაირი ხილისა და ბოსტნეულის, ჩაისა და მარილის რაოდენობაც. ქალები მამაკაცებზე 10 პროცენტით ნაკლებს ჭამენ.

"სასურსათო ზღვარში, მხოლოდ სურსათის მიღება იგულისხმება. გაჭირვებული ოჯახები შემოსავლის 70 პროცენტს ხარჯავენ სურსათში. საარსებო მინიმუმი სასურსათო მაჩვენებლის ჯამს დამატებული 30 პროცენტია," - გვითხრა გიორგი ყაველაშვილმა.

როგორც თავში გითხარით, იმავე უწყების მიერ გაკეთებული შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში, გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით, სიღარიბის დონემ იკლო. თუმცა ირკვევა, რომ გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით ქვეყანაში 4,5 პროცენტით გაიზარდა საარსებო მინიმუმი. 3,6 პროცენტითაა გაზრდილი ქვეყნის შინამეურნეობების მთლიანი მოხმარებაც, რაც საარსებო მინიმუმის ზრდის ტემპზე ნაკლებია. ამ ციფრების ფონზე ქვეყანაში შემცირებული ღარიბების არმია ორი ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული. სიღარიბე ან სოციალური დახმარებების ფონზე უნდა შემცირებულიყო, ან ქვეყანაში ეკონომიკურ ამინდს უნდა გამოედარა. ერთის ან მეორის დახმარებით უნდა შემცირებულიყო საარსებო მინიმუმი, ანუ ქვეყანაში ცხოვრება უნდა გაიაფებულიყო…

გიორგი ყაველაშვილი ამბობს, "ძირითადად იმ ხალხის ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა, რომლებიც სიღარიბის ზღვართან ახლოს იყვნენ, ანუ მათი მცირე კეთილდღეობაც კი საკმარისი იყო იმისთვის, რომ მათ ზღვარი გადაელახათ. სიღარიბის სიმწვავის მაჩვენებლის 1,85 პროცენტითაა შემცირებული. ცნობისთვის, სიღარიბის სიმწვავის მაჩვენებელი ზღვრიდან ღარიბთა დაშორებას გვიჩვენებს," - გვითხრა დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ, რომელიც თვლის, რომ ანალოგიური "შედეგის" მიღება მდიდრების კიდევ უფრო გამდიდრების შემთხვევაშიც შეიძლებოდა. "შესაძლოა მდიდარი კიდევ უფრო გამდიდრდეს და პროცენტულად, ჯამში გამოვიდეს, რომ სიღარიბე შემცირდეს. ამ შემთხვევაში, კარგი რამ მოხდა, ღარიბების კეთილდღეობამ იმატა, რასაც სოციალური დახმარების დამსახურებად ვერ ჩავთვლი. ქვეყანაში მაღალია ეკონომიკური ზრდის ტემპებიც და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაც, რაც ფართო მასებზეც აისახა. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ამის ხარჯზე მოხდა, რომ გაჭირვებულთა გარკვეულმა ნაწილმა ცოტა ამოისუნთქა." 2006 წლის 6 თვეში გასული წლის I ნახევართან შედარებით ქვეყანაში 2,69 პროცენტით შემცირდა უკიდურესი სიღარიბის დონეც. ამდენად, მათი რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 20.34 პროცენტია.

# თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13.00 საათზე. გადაცემა მიყავს ჟურნალისტ მაია ჭალაგანიძეს. სტუდიის სტუმარია ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე.*

**მაია ჭალაგანიძე:** წინასაარჩევნო ბატალიების ფონზე, საინფორმაციო საშუალებები ისეთი სიხშირით აღარ აშუქებენ ქართული პროდუქციის ბედს რუსეთის ბაზარზე და ონიშენკოც მიგვავიწყდა თითქოს. ჩვენი გადაცემის პირველი სტუმარია ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე, რომელსაც, როგორც ვიცი, ბევრი ახალი პროექტი აქვს და ერთ-ერთი მათგანის პრეზენტაციას ახლო მომავალში გეგმავს.

- ბ-ნო მამუკა, რამდენი ხანი სჭირდება კიდევ ჩვენს ქვეყანას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მაინც არ იყოს მეორედ მოსვლის ტოლფასი და მშვიდ გარემოში ჩატარდეს?

**მამუკა ხაზარაძე:** თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში კატაკლიზმებში მოუწია ქვეყანას და ხალხს ცხოვრება, შესაბამისად ეს არის რთული და ხანგრძლივი პროცესი. ყველაზე რთული მაინც, ალბათ, მენტალობის შეცვლისა და განათლების პრობლემაა. ადგილობრივი იქნება არჩევნები თუ ცენტრალური, მთავარია ხალხის მზადყოფნა და იმის შინაგანი გააზრება, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს წყნარად და თითოეული ადამიანის ხმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. როცა ამას მივხვდებით, მაშინ, ალბათ, წყნარად ჩატარდება არჩევნები.

**მაია ჭალაგანიძე:** მინდა უშუალოდ "ბორჯომის" საკითხს შევეხო, რა სტადიაში ხართ ამჟამად და რა გზა გაიარეთ?

**მამუკა ხაზარაძე:** მინდა გითხრათ, რომ "ბორჯომი" არა მარტო ჩემთვის, არამედ მსოფლიო ბიზნესსკოლების დიდი სახელმძღვანელო გახდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ჰარვარდის ბიზნესსკოლაში ბორჯომის მაგალითზე ასწავლიან ბოლო 7 წლის განმავლობაში. რადგან ამ კომპანიამ გაიარა ყველაზე რთული გზა, რაც კი შეეძლო გაევლო კომპანიას. ორჯერ დიდი დარტყმა მივიღეთ გარე ფაქტორების გამო. ჩვენ მოვახერხეთ ყოველგვარი კრიზისის დაძლევა. 2006 წელს კრიზისის პიკი იყო, როდესაც რუსეთის ბაზარზე ჩვენ გავუსწარით კოკა-კოლას და პეპსი-კოლას, რაც ბაზრის დიდი წილია. ამ ზენიტის მომენტში მოხდა ისეთი რამ, რასაც ვერ გავთვლიდით, ანუ რუსეთმა მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება ბორჯომის აკრძალვის შესახებ. ეს რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ორი თვის შემდეგ, ჩვენ, როგორც საუკეთესო მინარალური წყლის მწარმოებელ კომპანიას, გვაჯილდოებენ და გვაძლევენ ოქროს მედალს. აღსანიშნავია, რომ ბორჯომს ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში კონკურენტი არ ყავს. პიველი კრიზისის - 1998 წლის შემდეგ მოვახერხეთ და სხვა ქვეყნების ბაზარზე გადავედით, სწორედ ამან გვიშველა, რომ ჩვენ დღეს ვარსებობთ და კომპანია არ გაჩერებულა. უკრაინის ბაზარზე დღეს გვაქვს 45 პროცენტი. ეს არის წარმოუდგენელი სეგმენტი. უკრაინაში უკვე 10 წელია რაც ვმუშაობთ და ამ ბაზარზე დაახლოებით 10 ათასი ადამიანია დასაქმებული. ჩვენ არც რუსეთის ბაზარზე შეგვიწყვეტია მოქმედება.

**მაია ჭალაგანიძე:** რუსეთის ბაზარი მაინც ნაცნობი და გათვლადია. თუ გქონდათ ევროპის ბაზარზე გასვლის მცდელობა და რა იყო ახალი?

**მამუკა ხაზარაძე:** დღეს 28 ქვეყაქნაში ვართ გასულები. ევროკავშირის ქვეყნებში ჩვენ შევალთ უახლოეს მომავალში, თუმცა დღეს ბორჯომი ამ ქვეყნებში იყიდება.

**მაია ჭალაგანიძე:** თქვენი გათვლებით, რამდენ ხანში გაიხსნება რუსეთის ბაზარი?

**მამუკა ხაზარაძე:** მიუხედავად იმისა, რომ გაჩერდა საკმაოდ დიდი სავალუტო შემონადენი საქართველოში, ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. სტატისტიკურად ბორჯომის ექსპორტი მხოლოდ რუსეთში ტოლფასი იყო ღვინის ექსპორტისა საქართველოში. ალბათ მიხვდებით რა დარტყმა მიიღო კომპანიამ და ქვეყანამ. ჩვენ ახლა სხვა ქვეყნებზე ვფიქრობთ და როცა დავბრუნდებით რუსეთში, დავბრუნდებით უფრო ძვირად.

**მაია ჭალაგანიძე:** თი-ბი-სი ჯგუფს სხვა ბევრი საქმეც აქვს. ახლო მომავალში გექნებათ პრეზენტაცია და იქნებ ამის შესახებ ვისაუბროთ…

**მამუკა ხაზარაძე:** ბოლო 10, 15 წლის განმავლობაში ბევრ თბილისელს არ ჰქონდა საშუალება დაეტოვებინა ქალაქი. ჩვენ შევეცადეთ ქალაქის ცენტრში მოგვეწყო კურორტი. ლისის ტბის ტერიტორია ფაქტობრივად ქალაქის ცენტრია. იქ არის მინერალური წყლები, ორი ტბა და ასე შემდეგ. თავდაპირველად ეს იდეა ზურაბ ჭიაბერაშვილმა მოიწონა, შემდეგ აქტიურად ჩაერთო გიგი უგულავაც. 7 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით, თი-ბი-სი ბანკის შენობასა და ლისის ტბაზე მოეწყობა სემინარები, სადაც მოწვეული იქნება მსოფლიოს 10 წამყვანი არქიტექტორი. ისინი თავის იდეებს მოგვაწოდებენ და ჩვენც პარალელურად ვატარებთ გამოკვლევას მოსახლეობაში. ეს იქნება ადგილი, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეეძლება დასვენება. რაც მთავარია, იქნება ეკოლოგიურად სუფთა ტერიტორია. ორ წელიწადში პირველი შედეგები იქნება ცნობილი, საერთოდ პროექტის განხორციელებას დაახლოებით 7 წელი დასჭირდება. გვინდა ლისის ტბის კურორტი ყველა ფენის ადამიანისთვის იყოს გათვალისწინებული.

# ტერორისტების დაგვიანებული "მილოცვა"

## აშშ-ს საელჩოს აფეთქების მცდელობა დამასკოში

*თეთრი სახლის მიერ ტერორიზმთან გლობალური ბრძოლის გამოცხადების ხუთი წლის თავზე, 21-ე საუკუნის ყველაზე მძლავრ გამოწვევასთან დაპირისპირების მასშტაბები ფრიად უმნიშვნელოდ თუ შემცირდა. ამერიკაში 9/11-ის მოსაგონებლად გამართული ღონისძიებების დამთავრებიდან სულ რამდენიმე საათი იყო გასული, რომ ამერიკის მოქალაქეები კვლავ გახდნენ ტერორისტთა სამიზნე. თუმცა, ამჯერად სირიაში აშშ-ს საელჩოს თანამშრომლებს გაუმართლათ.*



ტერორისტებმა გეგმის განხორციელება ვერ შეძლეს.

ტერორისტების მორიგი სამიზნე გუშინ დილით აშშ-ს საელჩო გახდა დამასკოში, მაგრამ ავტომობილის აფეთქების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, ცეცხლი ბოევიკებმა ლიბანური ნომრის მქონე ავტომობილიდან გახსნეს და შეეცადნენ ხელყუმბარები აშშ-ს საელჩოს ტერიტორიაზე გადაეგდოთ, მართალია, რამდენიმე აფეთქების ხმა გაისმა, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტერორისტებმა გეგმის განხორციელება ვერ შეძლეს. სირიის უშიშროების ძალებმა დაუყოვნებლივ შემოარტყეს ალყა რაიონს, სადაც აშშ-ს საელჩოსთან ერთად სხვა ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებიცაა განთავსებული და იერიშიც მოიგერიეს.

სირიის ოფიციალურ პირთა განცხადებით, ამერიკელ დიპლომატთაგან არავინ დაშავებულა. გავრცელებული ცნობებით, მხოლოდ ერთი სირიელი მცველი ემსხვერპლა თავდასხმას. სირიის შინაგან საქმეთა მინისტრის ბასამ აბდელ მაჯიდის თქმით, შეტაკებისას სამი ბოევიკი დაიღუპა.

"ტერორისტული ოპერაცია აშშ-ს საელჩოს წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ჩვენმა უშიშროების ძალებმა ვითარების კონტროლქვეშ აყვანა დროულად შეძლეს. დაღუპულია სამი ტერორისტი, ხოლო ერთიც დაჭრილია", - თქვა მაჯიდმა სატელევიზიო გამოსვლაში.

სირიის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს მიხედვით კი, დაჭრილია 14 ადამიანი, რომელთაგან 2 სირიის უშიშროების ძალების წარმომადგენელია, ხოლო ერთიც საელჩოს თანამშრომელი.

მინისტრის განცხადებით, თავდამსხმელები საელჩოს ტერიტორიაზე 2 მანქანით გამოჩნდნენ, ხოლო ერთ-ერთი წინასწარ დადებული ბომბი ამოქმედდა კიდეც. შემთხვევის ადგილზე ექსპერტები მუშაობენ.

დამასკოში ამერიკის საელჩოზე თავდასხმას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელიც ადასტურებს.

უკანასკნელ ხანს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში განთავსებულ აშშ-ს საელჩოებში თითქმის ყველგან საგანგებო მზადყოფნაა გამოცხადებული. თუმცა, უკეთეს მდგომარეობაში არც ცენტრალური და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, კერძოდ, ავღანეთში მყოფი დიპლომატიური მისიაა. სირიის შემთხვევამდე ერთი კვირით ადრე ტერორისტებმა იერიში ქაბულში განთავსებულ აშშ-ს დიპლომატიურ მისიაზეც მიიტანეს, რომლის შედეგად 16 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 30-მდე დაიჭრა. მათგან 2 ამერიკელი სამხედრო პირი იყო. აფეთქება საელჩოს გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი კომპლექსიდან 100 მეტრში მოხდა, გზაჯვარედინზე. "ბი-ბი-სი"-ს წყაროებით, აფეთქებამ მთლიანად გაანადგურა იქვე მდგარი სამხედრო პატრულის დაჯავშნული ავტომობილი. ავღანეთის დედაქალაქის ცენტრში ასეთი დაცვის მქონე შენობის ასეთ ახლო მანძილზე აფეთქება მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ეს აფეთქება ცოტა ხნით ადრე მოხდა ვარშავაში გასულ პარასკევს დაგეგმილ ნატო-ს ხელმძღვანელობის შეხვედრამდე, სადაც ავღანეთში დამატებითი ძალების გაგზავნის საკითხი უნდა განეხილათ.

თუმცა, ერთი კვირის წინ მომხდარ ინციდენტს რომ თავი დავანებოთ და დამასკოში განხორციელებულ თავდასხმას დავუბრუნდეთ, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სირიაში მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია ლიბანის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიაში ისრაელისადმი აღმოჩენილმა აშშ-ს მხარდაჭერამ. აშშ კი, თავის მხრივ, სირიას ადანაშაულებს ლიბანში შიიტური რადიკალური დაჯგუფების "ჰეზბოლა"-ს იარაღით უზრუნველყოფაში. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი - დამასკოში განხორციელებულ თავდასხმამდე ერთი დღით ადრე უსამა ბინ ლადენის მარჯვენა ხელად ცნობილი აიმან ზავაჰირის სატელევიზიო მიმართვა გავრცელდა, სადაც მან თითქმის ღიად განაცხადა, რომ "ალ-ქაიდა"-ს შემდგომ სამიზნეებად სპარსეთის ყურის სახელმწიფოებსა და ისრაელში განთავსებული აშშ-ს საელჩოები იქცევიან.

*24 საათი*

# "საქართველომ ორიენტირი კონფლიქტის სამხედრო გადაწყვეტაზე აიღო"

ქართული მხარის ქმედებები მიუთითებს, რომ საქართველომ ორიენტირი კონფლიქტის სამხედრო გადაწყვეტაზე აიღო, ამას კი ოსური მხარე არ დაუშვებს.

ამის შესახებ, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა სააგენტო "რეგნუმისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, საქართველო თითქმის ყველა შეთანხმების იგნორირებას ახდენს და მოლაპარაკებების ფორმატის შეცვლას ცდილობს. "გვაქვს ბევრი წინადადება სამხრეთ ოსეთში კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ქვედანაყოფების გაგზავნის შესახებ, მაგრამ ჩვენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას ვუჭერთ მხარს", - განაცხადა კოკოითმა.

მან იქვე დასძინა, რომ თუ საქართველო ოსურ მხარეს არჩევანს არ დაუტოვებს, ის იძულებული იქნება საკუთარი ხალხი დაიცვას. დე-ფაქტო პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების "ერთადერთი გარანტი რუსეთია". მისივე თქმით, საქართველო ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა საერთაშორისო საზოგადოება დაარწმუნოს, რომ რუსეთი ვერ ასრულებს სამშვიდობო ფუნქციას. თუმცა, კოკოითის თქმით, ყველაფერში ქართული მხარეა დამნაშავე, რომელსაც აღებულ ვალდებულებათა შესრულება არ სურს. მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ სამხრეთ ოსეთი არ დათანხმდება საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას, თუნდაც ძალიან ფართო ავტონომიის პირობებში. "ჩვენ ყოველთვის ვიტანჯებოდით ქართული ეროვნული იდეოლოგიის გამო. ისტორია გვიჩვენებს, რომ ჩვენი საქართველოსთან ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრება შეუძლებელია", - განაცხადა კოკოითმა. ის ამტკიცებს, რომ აუცილებლად დადგება დრო, როდესაც "საქართველო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას აღიარებს".

*ინტერპრესნიუსი*






## მოკლედ

### რუსი დეპუტატები დნესტრისპირეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დამკვირვებლებად გაემგზავრებიან

რუსი დეპუტატები დნესტრისპირეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დამკვირვებლებად გაემგზავრებიან. ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა ბორის გრიზლოვმა განაცხადა.

"დნესტრისპირეთში გასამგზავრებელი ხუთი დეპუტატის სამივლინებო დოკუმენტს ხელი უკვე მოვაწერე. ჩვენი წარგზავნილნი დამკვირვებლების სტატუსით მიიღებენ მონაწილეობას რეფერენდუმში", - ამბობს გრიზლოვი და საუბარს ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაგეგმილ რეფერენდუმზე აგრძელებს.

მისი განმარტებით თავად საქართველომ აიძულა სამხრეთ ოსეთი რეფერენდუმი, ჩატარებაზე ეზრუნა.

"ოფიციალური თბილისის მიერ გატარებულმა პოლიტკამ აიძულა სამხრეთ ოსეთი რეფერენდუმი განმეორებით ჩაეტარებინა. თუმცა, ვგონებ, ეს მათი პირადი უფლებაა - უნდათ ჩაატარებენ რეფერენდუმს და უნდათ არა", - ამბობს რისეთის სათათბიროს სპიკერი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ელჩები ცხინვალში

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გუშინ ჩასულმა ამერიკის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და იტალიის ელჩებმა პროტოკოლით გათვალისწინებული ერთი საათის ნაცვლად, დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთში სამი საათი დაჰყვეს.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მათთან ერთად ეუთოს ხელმძღვანელი როი რივი იმყოფებოდა. პროტოკოლით გათვალისწინებულ დროს ელჩებმა იმის გამო გადააჭარბეს, რომ დე-ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტთან ედუარდ კოკოითთან ბევრ საკითხზე საუბრობდნენ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, ცხინვალის დატოვებამდე ელჩები პრესასთან სასაუბროდ გაჩერდნენ, თუმცა კომენტარი მხოლოდ საფრანგეთის ელჩმა გააკეთა. გერმანიის, ამერიკის, ინგლისისა და იტალიის ელჩებმა კი განაცხადეს, რომ საფრანგეთის ელჩის მოსაზრებას იზიარებენ.

ცხინვალის დატოვების შემდეგ დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები უკმაყოფილო ჩანდნენ. საფრანგეთის ელჩმა განაცხადა, რომ ედუარდ კოკოითთან და დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის მთავრობის წევრებთან მთელ რიგ იმ ნეგატიურ მოვლენებზე ისაუბრეს, რომლებიც ბოლო პერიოდის განმავლობაში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განვითარდა.

მათ შორის, საუბარი შეეხებოდა იმ ტერაქტებისა და კრიმინალური თავდასხმების სერიასაც, რომელიც ბოლო ორი-სამი კვირის განმავლობაში ხდებოდა. ელჩებმა დე-ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტთან მომხდარი ფაქტების უმოკლეს დროში გამოძიების საკითხი დააყენეს. **ინტერპრესნიუსი**

### "ლეიბორისტული პარტია" ხელისუფლებას უკანონობაში ადანაშაულებს

"ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი ჯონდი ბაღათურია, რომელიც კენჭს მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში იყრის, ხელისუფლებას უკანონობაში ადანაშაულებს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ბაღათურიამ განაცხადა, "ნაციონალურმა მოძრაობამ" ადგილობრივ არჩევნებზე გიგი უგულავას მაჟორიტარ კანდიდატად წარდგენა ვერ გარისკა.

"11 სექტემბერს 18.00 საათამდე ველოდით, თუ რომელ მაჟორიტარულ ოლქში წარადგენდა უგულავა საკუთარ კანდიდატურას, რომ შესაბამისად, სწორედ იმ ოლქში გამეწია მისთვის კონკურენცია. მინდა უგულავა დავამარცხო, რომ სამუდამოდ დავანგრიო მითი "ნაციონალური მოძრაობის" უძლეველობის შესახებ. თუმცა, ხელისუფლებამ ვერ გარისკა უგულავას მაჟორიტარად წარდგენა. მის გადასარჩენად კანონი დაარღვია და პარტიულ სიაში უგულავას შეყვანით, დამარცხებულად აღიარა", - განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

მისივე თქმით, იურისტები უკვე მუშაობენ სარჩელზე, რომლითაც "ლეიბორისტული პარტია" ცესკოს შესაბამის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. ჯონდი ბაღათურია გიგი უგულავას მთაწმინდის ოლქში მაჟორიტარად წარდგენას და სამართლიან ბრძოლაში ჩაბმას მოითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

### აფხაზები დამოუკიდებლობის 13 წლისთავის საზეიმოდ ემზადებიან

აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. ვიცე-პრემიერმა ლეონიდ ლაკერბაიამ გუშინ საგანგებო თათბირი გამართა და დამოუკიდებლობის 13 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა გეგმა დეტალურად განიხილა. აღსანიშნავია, რომ აფხაზი სეპარატისტები წელს, 30 სექტემბერს საქართველოზე გამარჯვების 13 წლისთავს იზეიმებენ.

საზეიმო ღონისძიებები, დედაქალაქ სოხუმში, გეგმის მიხედვით 30 სექტემბერს დღის 11 საათიდან დაიწყება. თავდაპირველად "დიდების მემორიალს" გვირგვინებით შეამკობენ, 11:30 წუთზე კი დიდი მიტინგი დაიწყება. ამის შემდეგ სოხუმის ფილარმონიაში კონცერტი გაიმართება.

ლაკერბაიას თქმით, ამ დღეს მთელი აფხაზეთი განსაკუთრებულად იზეიმებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ქართველები ითხოვენ, ევროპარლამენტარები ფრთხილობენ

პირველი გვერდიდან

ვალერი ჩეჩელაშვილს კონფლიქტის ზონებში ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა მხოლოდ მას შემდეგ მიაჩნია შესაძლებლად, როდესაც კონფლიქტის ზონებს რუსული სამშვიდობო ძალები დატოვებენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თავის გუშინდელ გამოსვლაში დაბეჯითებით არწმუნებდა ევროპარლამენტის წევრებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტის ზონებში შეჭრისა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენების არანაირი გეგმა არ გააჩნია. ამასთან, იგი ევროპელი პარტნიორებისგან მოითხოვდა, რომ სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში გაძლიერდეს მხარდაჭერა ეუთო-ს მხრიდან, ხოლო აფხაზეთის შემთხვევაში - გაერო-ს მხრიდან.

**"საქართველოს ხელისუფლება ლუბლიანის "მინისტერიალის" მიერ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ერთგულია, თუმცა, ფაქტია, რომ ფორმატის შეცვლაზეც აუცილებლად უნდა დავიწყოთ ფიქრი",** - განუცხადა ვალერი ჩეჩელაშვილმა ევროპარლამენტარებს.


შეხვედრა პარლამენტში.

იმას, რომ კონფლიქტების დარეგულირების თემას საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომაზე წამყვანი ადგილი უკავია, ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც ადასტურებს.

**"კონფლიქტების თემა ძალიან დეტალურად გავიარეთ და შესაბამის რეკომენდაცისაც მივიღებთ, რომლითაც მოვუწოდებთ ევროკომისიას, დაეყრდნოს საქართველოს პარლამენტის შესაბამის დადგენილებას და სამშვიდობო მანდატის შესაცვლელად იმუშაოს",** - აღნიშნა დავით ბაქრაძემ "24 საათთან" საუბარში.

"24 საათის" შეკითხვაზე - როგორ უყურებს სამშვიდობო მანდატის შეცვლის საკითხს - დელეგაციის თანათავმჯდომარე მარი ანე ისლერ ბეგინი ასე პასუხობს: **"შესაბამისი თხოვნა საქართველოდან ჯერ არ შემოსულა. ამასთან, დასაზუსტებელია, ეს მოთხოვნა შეეხება მხოლოდ სამხრეთ ოსეთს თუ აფხაზეთსაც. როდესაც ასეთი მოთხოვნა ოფიციალურად იქნება, გადაწყვეტილებას ევროკავშირის საბჭო მიიღებს. ისე, ვიდრე მოთხოვნას გამოგზავნიან, საქართველოს ხელისუფლებაში კარგად უნდა დაფიქრდნენ."** თავის მხრივ, დავით ბაქრაძეც ადასტურებს, რომ სამშვიდობო ფორმატის შეცვლის შესახებ ფორმალური მოთხოვნა მართლაც არ არსებობს და ამასთან დაკავშირებით ამჟამად პოლიტიკური კონსულტაციები მიმდინარეობს.

ასეთი ფრთხილი მიდგომის საფუძველი, როგორც ჩანს, გახდა დელეგაციის სტუმრობა ცხინვალში, სადაც ევროპარლამენტარები დეფაქტო ხელისუფლებისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას შეხვდნენ.

**"დღეს კიდევ არის საშუალება, რომ დიპლომატიამ იმუშაოს,"** - ცხინვალიდან დაბრუნების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საკმაოდ ოპტიმისტურად იყო განწყობილი მარი ანე ისლერ ბეგინი.

საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში, კონფლიქტების თემასთან ერთად, სხვა საკითხებიც ფიგურირებს. დოკუმენტში, კერძოდ, საუბარია ყაზბეგი-ზემო ლარსის საკონტროლო პუნქტის დახურვის მიზანშეუწონლობაზე და მისი გახსნის თარიღის დაუყოვნებლივ დასახელებაზე; 5 ოქტომბრის არჩევნების "თავისუფალ და მიუკერძოებელ გარემოში" ჩატარებაზე; რუსეთის მხრიდან საქართველოს ალკოჰოლურ სასმელებზე, ხილსა და მინერალურ წყლებზე დაწესებული ემბარგოს შედეგად საქართველოსთვის მიყენებულ ზარალზე...

ევროპარლამენტის დელეგაციას დღესაც საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრები აქვს: ევროპარლამენტარები შეხვდებიან საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილს, იუსტიციის მინისტრს გია ქავთარაძეს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

ევროკავშირის საპარლამენტო დელეგაცია საქართველოდან ხვალ გაემგზავრება.

# ფსონები კოსოვოს სტატუსზე

პირველი გვერდიდან

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უცხოეთის ქვეყნებთან საერთაშორისო და კულტურული ურთიერთობების სამმართველოს ხელმძღვანელი მოდესტ კოლეროვი აცხადებს, რომ **"პუტინის განცხადება კოსოვოს შესახებ ძველი პოზიციაა, რომელიც არ იცვლება. არაღიარებულ სახელმწიფოთა ძალისხმევა უდავოდ ასახავს სუვერენიტეტზე მათი ხალხების უფლებას "**. მისი თქმით, **"ეს ძალისხმევა გაგრძელდება"** და **"ყველა ხალხი საკუთარ ბედს განკარგავს და ისინი (ხალხები) ბრძოლაზე უარს არ იტყვიან"**.

თუმცა, კოსოვოს თემის პუტინისეული ინტერპრეტაცია ყოველთვის ერთგვაროვანი არ იყო. ის დიდწილად იყო დამოკიდებული აუდიტორიაზე, რომლის წინაშეც პრეზიდენტი ამ განცხადებებს აკეთებდა.

პირველად კოსოვოს პრეცედენტი პრეზიდენტმა პუტინმა წლის დასაწყისში ახსენა. მაშინ მან საკითხისადმი "უნივერსალურ მიდგომას" დაუჭირა მხარი, და ისიც იკითხა, თუ კოსოვოს დამოუკიდებლობის უფლება აქვს, რატომ არ უნდა ისარგებლონ ამ უფლებით აფხაზებმა და სამხრეთ ოსეთმა? თვითაღიარებული რესპუბლიკები ამ განცხადებას აღფრთოვანებით შეხვდნენ.

თუმცა, რამდენიმე თვის წინ, დასავლური გამოცემების ჟურნალისტებთან შეხვედრაზე პუტინმა კოსოვოს თემა სხვაგვარად განიხილა. ფაქტობრივად, მან მიანიშნა, რომ მისი პრიორიტეტი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაა.

**"არის ჩვენთვის პრიორიტეტული დღეს არსებული სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, თუ პრიორიტეტია ისტორიული სამართლიანობის და პოლიტიკური მიზანშეწონილობის ძნელად დასადგენი ცნებები?"** - იკითხა პუტინმა. მან აღნიშნა, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის პრეცედენტები **"ნეგატიურ ზეგავლენას"** არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეზე, არამედ ევროპაზეც მოახდენს. **"მე ეს მაშფოთებს. და მე მინდა, რუსეთის ეს შეშფოთება სხვებმაც გაიზიარონ,"** - განაცხადა პუტინმა.

13 ივნისს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე კი პუტინმა, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბრისას მინიშნება იმაზე გააკეთა, რომ რუსეთის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი კოსოვოს სტატუსის თაობაზე მოლაპარაკებების შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

**"ჩვენი პოზიცია ყოველთვის საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების დაცვაა, რაც გაერო-ს წესდებაშია გათვალისწინებული. თუმცა, ბოლო დროს ხშირად გვესმის, რომ უნდა ვიხელმძღვანელოთ სხვა მოსაზრებებით, პოლიტიკური მიზანშეწონილობით ან ისტორიული თავისებურებებით. ეს ღია დისკუსიაა, რომელსაც ჩვენ, სამწუხაროდ, დღეს მრავალ ჩვენს პარტნიორთან ვმართავთ,"** - განაცხადა პუტინმა. ანუ, მისი ინტერპრეტაციით, სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას ეჭვქვეშ არა რუსეთი, არამედ "პარტნიორები", ანუ დასავლეთის ქვეყნები აყენებენ.

### კოსოვოს ჩიხი

ამასობაში, მოლაპარაკებებმა კოსოვოსა და მეტოხიის მომავალი სტატუსის შესახებ სერიოზული შედეგები დღემდე ვერ გამოიღო. მოლაპარაკებები სერბეთის, კოსოვოს ალბანური მთავრობის, კოსოვოელი სერბებისა და "საკონტაქტო ჯგუფის" (დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, აშშ-ს, საფრანგეთის, გაეროს, რუსეთისა და ნატო-ს წარმომადგენლების მონაწილეობით) შემადგენლობით მიმდინარეობს.

აგვისტოს ბოლოს გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კოსოვოს საკითხებში მარტი აჰტისაარი კოსოვოს ეწვია, სადაც მოლაპარაკებები ადგილობრივი ალბანელებისა და სერბების წარმომადგენლებთან გამართა. მან განაცხადა, რომ სტატუსის საკითხის გადაწყვეტამდე აუცილებელია ისეთ თემებზე შეთანხმება, როგორიცაა კოსოვოს დეცენტრალიზაცია, კულტურული ძეგლების დაცვა და ეროვნული უმცირესობების უფლებები. შეთანხმება ამ საკითხებზეც ვერ მოხერხდა. აჰტისაარის განცხადებით, მოლაპარაკების დრო შეზღუდული არ არის, თუმცა იგი პროცესის დასრულებას წლის ბოლომდე აპირებს. **"ეს უსასრულო პროცესი არ არის და დადგება დრო, როცა მხარეების პოზიციების დაახლოება აუცილებელი გახდება,"** - განაცხადა მარტი აჰტისაარიმ.

ფინელმა დიპლომატმა ისეთი განცხადებებიც გააკეთა, რომლებმაც სერბული მხარის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. კერძოდ, მან განაცხადა, რომ **"სერბები, როგორც ხალხი, დამნაშავეები არიან"**, ხოლო მოგვიანებით ისიც დააყოლა, რომ **"ყველა ერს მსოფლიოში რაღაც დანაშაული მიუძღვის, რომლისთვისაც პასუხი უნდა აგოს"**.

ბელგრადმა ეს განცხადებები შეურაცხმყოფელად და "რასისტულად" მიიჩნია. **"აჰტისაარის აქამდე არაერთხელ, მეტ-ნაკლებად შენიღბული ფორმით აღუნიშნავს, რომ მოლაპარაკებები და კომპრომისი ზედმეტია და არსებობს გადაწყვეტილება, რომელიც უნდა შესრულდეს - დამოუკიდებელი კოსოვო. ამ გადაწყვეტილებისთვის, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება, აჰტისაარიმ საფუძველი გამოძებნა: სერბი ხალხის დანაშაული,"** - ასეთი კომენტარი გააკეთა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის განცხადებებთან დაკავშირებით სერბეთის პრემიერ-მინისტრმა ვოისლავ კოშტუნიცამ.

გაერო-მ სერბეთის პროტესტები ყურად არ იღო. გენერალური მდივნის პრესმდივანმა განმარტა, რომ აჰტისაარის **"უფლებამოსილებისთვის არ გადაუმეტებია"** და გენერალური მდივანი მას **"მიუკერძოებელ შუამავლად"** მიიჩნევს.

ბელგრადის პოზიცია კი შეუვალია - სერბეთი კოსოვოს დამოუკიდებლობას არასდროს დათანხმდება, თუმცა ალბანელებით დასახლებულ მხარეს სთავაზობს "უფრო მეტს, ვიდრე ავტონომიაა, მაგრამ უფრო ნაკლებს, ვიდრე დამოუკიდებლობა".

ამავე დროს, დასავლეთის ქვეყნების მხრიდან სულ უფრო ხშირად ისმის განცხადებები კოსოვოს დამოუკიდებლობის პერსპექტივების შესახებ. მარტში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ განაცხადა, რომ, მისი აზრით, კოსოვო სერბეთისაგან დამოუკიდებლობას მიაღწევს. **"ყველას ესმის, რომ 1999 წლამდე არსებული სიტუაციის დაბრუნება მომავლის რეალური საფუძველი ვერ გახდება,"** - განაცხადა სტრომ. ამიტომაც, მისი აზრით, კოსოვოს მოძრაობა დამოუკიდებლობისაკენ **"პრაქტიკულად გარდაუვალია"**.

თუმცა, ჯერჯერობით გაუგებარია, რას მოიმოქმედებს "საკონტაქტო ჯგუფი" იმ შემთხვევაში, თუ სერბეთს კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობაზე ვერ დაითანხმებს. ისიც უცნობია, თუ კოსოვომ დამოუკიდებლობა ბელგრადის ნების საწინააღმდეგოდ მიიღო, როგორ აპირებს დასავლეთი ამ პრეცედენტის "უნიკალურობა" დაიცვას და არ დაუშვას მისი გამეორება პოსტსაბჭოთა სივრცეზე ან თუნდაც დასავლეთ ევროპაში.

# ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისია

*5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის დამკვირვებელთა მისია დაესწრება. ამის შესახებ განცხადება, გუშინ საგანგებო ბრიფინგზე, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელმა საქართველოში, იგორ გაონმა გააკეთა.*

ნათია მსხილაძე

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მოკლევადიანი სადამკვირვებელო მისია საქართველოში 2 ოქტომბერს ჩამოვა. საქართველოს მთავრობისაგან ევროსაბჭომ მოწვევა ორჯერ, მაისსა და სექტემბერში მიიღო. **"საქართველო ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრია და კონგრესი ვალდებულია, რომ დამკვირვებლები საქართველოში აუცილებლად ჩამოვიდნენ - როდესაც კონგრესის დელეგაციაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება 8 სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური პარტიების წევრები,"** - აცხადებს იგორ გაონი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით, საქართველოში ჩამოსული სადამკვირვებლო მისიისთვის მზადდება რამდენიმე შეხვედრა, რომლებიც 3 და 4 ოქტომბერს გაიმართება. მისია შეხვდება საქართველოს მთავრობას, პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წამომადგენლებს. **"ეს შეხვედრები დელეგაციის მოთხოვნაა, რადგან მათ უნდათ, რომ კარგი წარმოდგენა ჰქონდეთ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე,"** - აღნიშნა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელმა საქართველოში.




თითოეული სადამკვირვებლო ჯგუფი 2 წევრით დაკომპლექტება. ეს ჯგუფები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობას თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში დააკვირდებიან. აღნიშნული ჯგუფები ითანამშრომლებენ "ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტსა" და ადამიანის უფლებათადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. არჩევნების დასრულების შემდეგ მისია ერთობლივი პრესრელიზის წარმოდგენას გეგმავს.

# სულთანი ნურსულთანი

## ყაზახეთი, შესაძლოა, მონარქია გახდეს, ნურსულთან ნაზარბაევი კი - სულთანი

სოფო ბუკია

სასულთნოს იდეა ყაზახეთის პრეზიდენტის უფროსი ქალიშვილის მეუღლეს რაჰან ალიევს "გამოეცხადა".

რაჰან ალიევმა, რომელიც ამავდროულად ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეცაა, საკუთარ გაზეთ "ქარავანში" დაბეჭდა სტატია, სადაც თავის ხალხს ასეთი კითხვით მიმართა: "რესპუბლიკოსტანი თუ ყაზახური სასულთნო? როგორ არჩევანს გავაკეთებთ ჩვენ?"

თავად ალიევს სასულთნო ურჩევნია, რასაც სტატიაშივე არ მალავს.

წერილში განმარტებულია, რომ ყაზახეთის დღევანდელმა სახელმწიფო მოწყობამ არ გაამართლა და აპრიორი ყაზახეთს მონარქია სჭირდება.

**"რესპუბლიკა მმართველობის უცხო ფორმაა ყაზახებისთვის, იგი რევოლუციონერ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იდეა იყო. მონარქია კი პირიქით, ძალიან კარგად ესადაგება ყაზახურ გვაროვნულ ტრადიციებს,"** - აღნიშნულია სტატიაში.

ალიევის აზრით, ყაზახურ გვაროვნულ ტრადიციებს განსაკუთრებით მოუხდება ბრიტანული, ესპანური ან იორდანული ტიპის კონსტიტუციური მონარქია.

ნაზარბაევის სიძე მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო მმართველობა, რომელიც გარკვეული ვადებითაა შეზღუდული, ხელისუფლების გადაცემის შემთხვევაში ქვეყნის სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფს.

ვის ხედავს ალიევი მომავალი სულთანის როლში, სტატიაში არ წერია, თუმცა ამის გამოთვლა ძნელი საქმე არ არის.



გაცილებით უფრო რთულია იმის დადგენა, თუ საიდან ქროდა ქარი? ანუ რაჰად ალიევმა აღნიშნული სტატია თვითონ დაწერა, თუ მას სიმამრი დაეხმარა?

ნურსულთან ნაზარბაევის მიმართ ყაზახეთში არსებული პატივისცემის მიუხედავად, განსაკუთრებული აღფრთოვანება ალიევის იდეას ყაზახეთში არ გამოუწვევია. უარყოფითი დამოკიდებულების ღიად გამოხატვასაც, ცხადია, ვერავინ ბედავს.

მიმდინარე წლის ბოლოს, ან 2007 წლის დასაწყისში, ყაზახეთში ქვეყნის მომავალ სახელმწიფო სისტემასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარება იგეგმება. გამორიცხული არაა, ყაზახებს საპრეზიდენტო, საპარლამენტო რესპუბლიკებსა და კონსტიტუციურ მონარქიას შორის არჩევანის გაკეთება მოუხდეთ.

ყაზახი ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მმართველობის მოდელის შეცვლამდე ყაზახეთში საქმე მაინც არ მივა. თუმცა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ყაზახური კონსტიტუცია ცვლილებებს ვერ გადაურჩება. ეს ცვლილებები კიდევ უფრო გააძლიერებენ სახელმწიფოს ამჟამინდელი ხელისუფალის ისედაც განსაკუთრებულ სტატუსს და საშუალებას მისცემს მას, რეალური ძალაუფლება 2012 წლის ანუ მიმდინარე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგაც შეინარჩუნოს.

ყაზახეთში გავრცელებული კიდევ ერთი ვერსიით, შესაძლოა, მონარქისტული იდეით ყაზახეთის ხელისუფლება ეუთო-ს დაშანტაჟებას შეეცადოს. **"დეკემბერში ყაზახეთის ეუთო-ში თავმჯდომარეობის საკითხი უნდა გადაწყდეს. ამ საქმეს თავად რაჰად ალიევი კურირებს. ეუთოდან უარყოფითი განწყობის შემთხვევაში ყაზახეთის ხელისუფლებამ, შესაძლოა, ასე დასვას საკითხი - ან ეუთო-ს თავმჯდომარეობა ან მონარქია,"** - ვარაუდობს პოლიტოლოგი ნურბულატ მასანოვი.

ზოგადად ნაზარბაევის მმართველობის ხანის გახანგრძლივებას ყაზახეთში საკმაოდ დადებითად ეკიდებიან. ამ ქვეყანას ეკონომიკური თვალსაზრისით მართლაც კარგად მისდის საქმეები. ნაზარბაევი ქვეყანაში რეალური რეფორმების გატარებას ახერხებს. 2001 წელს გამოცხადებულმა საგადასახადო ამნისტიამ ლეგალურ ბრუნვაში 480 მილიონი აშშ დოლარი დააბრუნა. 2006 წლის ივლისში კი ნაზარბაევმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც საშუალებას აძლევს რესპუბლიკის მოქალაქეებს, ქონების ლეგალიზაცია მოახდინონ, საერთო ღირებულების 10 პროცენტის გადახდით.

2001 წელს საშუალო ხელფასი ყაზახეთში 120 დოლარს შეადგენდა, 2006 წლის ივლისის მაჩვენებლით კი იგი 295 დოლარამდე გაიზარდა.

ყაზახეთის მოქალაქის საშუალო ხელფასი დაახლოებით 4,5-ჯერ მეტია, ვიდრე მეზობელ ყირგიზეთში ან უზბეკეთში. მეზობლების ფონზე ყაზახეთი პოლიტიკური სტაბილურობის ნამდვილი ბასტიონია. გასული წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ნაზარბაევმა დამაჯერებელი და უპირობო გამარჯვება მოიპოვა და ამომრჩეველთა 91 პროცენტის მხარდაჭერით 2012 წლამდე მმართველობა გაიხანგრძლივა.

ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ სწორედ ეს სტაბილურობა და კეთილდღეობაა მთავარი პრობლემა. ნაზარბაევის ქვეყანაში არ არის ლიდერი, რომელიც მისი წასვლის შემდეგ ამ სტაბილურობის შენარჩუნებას შეძლებს. აქედან გამომდინარე, ყაზახეთში დღესაც რეალურია მონარქიულ ეგზოტიკაზე, მეფეებზე და სულთანებზე დისკუსია.

# პრეზენტაცია, რომელიც არ შედგა

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ პირდაპირ ამ გუნდით ვებმებით ბრძოლაში, ბრძოლა უკვე დაიწყო, ჩვენ ამ ბრძოლისათვის პრეზენტაცია არ გვჭირდება,"** - აცხადებს კობა დავითაშვილი.

"დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" საარჩევნო ბლოკის კრიტიკის საგანი გახდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ის დადგენილება, რომლითაც გიგი უგულავას არჩევნებში მონაწილეობის გარეშე, "ნაციონალური მოძრაობის" სიით საკრებულოში შესვლის უფლება მიეცა.

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განმარტებით, ცესკო-მ ეს დადგენილება კონსტიტუციის დარღვევით მიიღო.

**"კონსტიტუციაში განმარტებულია, რომ საკრებულოში შესვლის უფლება არჩევნებში მონაწილეობის გარეშე არავის აქვს. ცესკო-მ კი კანონი დაარღვია",** - აცხადებს უსუფაშვილი.

ბლოკმა "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" 9 სექტემბერს ცესკო-ს მიერ მიღებული დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით გლდანის ადმინისტრაციულ სასამართლოს მიმართა.

# ვინ იყო "მოდულში" - წყნეთის ყოფილი გამგებელი თუ პოლიტიკური ოპონენტი?

*ადგილობრივი არჩევნების წინ საარჩევნო ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" შტაბის კოორდინატორის გოგა ოძელის "მოდულის" შენობაში მიყვანას პოლიტიკური აჟიოტაჟი მოჰყვა.*

წყნეთის ყოფილი გამგებელი გოგა ოძელი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საკუთარ სახლთან დააკავეს და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე "მოდულის" შენობაში წაიყვანეს.

გოგა ოძელი თავის დროზე "ნაციონალური" პარტიის ერთ-ერთი პირველი დამფუძნებელი იყო და დაბა წყნეთის გამგებლად 1996 წლიდან რამდენიმე წლის განამვლობაში მუშაობდა. თუმცა, მოგვიანებით, მან თავისი დაფუძნებული პარტია დატოვა და ოპოზიციაში გადაინაცვლა. ამჟამად იგი "კონსერვატიული პარტიის" აქტიური წევრი და ამავდროულად პარტიის საფინანსო სამსახურის უფროსია. ამ ხნის განმავლობაში ხელისუფლებაში მოსულ მის ყოფილ თანაპარტიელებს ოძელისადმი პრეტენზია არ გასჩენიათ. ამიტომ ოძელის დაკავებას მწვავე რეაქცია მოჰყვა, რაც პოლიტიკოსებმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე დააფიქსირეს.

**"ოძელის დაკავებასთან დაკავშირებით სამართალდამცველები არავითარ ინფორმაციას არ გვაწვდიან. ჯერჯერობით დაკავების მიზეზი და საფუძველიც ვერ გავარკვიეთ. ეჭვი არ მეპარება, რომ ხელისუფლება ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის და ისეთივე მეთოდებს იყენებს, როგორსაც ასლან აბაშიძე იყენებდა თავისი მმართველობის პერიოდში. ჩემთვის გაურკვეველია, რას ედავება სახელმწიფო ოძელს და რატომ მოხდა მისი დაკავება",** - განაცხადა "კონსერვატორების" ლიდერმა კობა დავითაშვილმა, რომელმაც თანაპარტიელის დაკავება პოლიტიკური მოტივით ახსნა. **"ხელისუფლებას ჩვენი კონკურენციის შეეშინდა და ოძელი მძევლად აიყვანა",** - განმარტა დავითაშვილმა.

კობა დავითაშვილის თქმით, მისთვის გაუგებარია, რატომ იყენებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის "აჭარელი ფეოდალის" მეთოდებს - პოლიტიკური აქტივისტების დაკავებას, დაშინების მცდელობას და რეპრესიის სხვა ფორმებს.

"რესპუბლიკური" პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილიც ოძელის დაკავებას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირებს.

**"არ გამოვრიცხავთ, რომ ოძელის დაკავება წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირდებოდეს და ამით სახელისუფლებო ბლოკი ჩვენი პარტიის რეიტინგის დაწევას და შიდა დაბნეულობის გამოწვევას აპირებდეს,"** - თქვა დავით უსუფაშვილმა.

"დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" წარმომადგენლებმა ოძელის დაკავება პრეზიდენტის მხრიდან ღია პოლიტიკურ რეპრესიად შეაფასეს და მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვეს.

მათი განცხადებების გავრცელებიდან ცოტა ხანში შსს-მ განმარტა, რომ ოძელი დაკავებული არ არის და ის კრიმინალური ავტორიტეტის, შაქრო კალაშოვის საქმესთან დაკავშირებით მხოლოდ მოწმის სახით იკითხებოდა.

შს სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის შოთა ხიზანიშვილის განცხადებით, ოძელი წყნეთის გამგებელი იყო იმ დროს, როცა კალაშოვმა წყნეთში მიწები კაპიკებად შეიძინა. სწორედ ამიტომ მოუწია ყოფილ გამგებელს სამართალდამცველებისთვის ახსნა-განმარტების მიცემა. მოგვიანებით გაირკვა ისიც, რომ ოძელთან ერთად ე.წ. მოდულის შენობაში წყნეთის სხვა ყოფილი გამგებლები და მათი მოადგილეებიც იყვნენ დაბარებული.

არადა, "კონსერვატორი" კობა დავითშვილი გამორიცხავს, რომ ოძელის "მოდულში" მიყვანა უკავშირდებოდა პერიოდს, როცა იგი წყნეთის გამგებლად მუშაობდა, რადგანაც, მისი განმარტებით, იმ პერიოდში თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი იყო და ოძელი მისი აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდა.

ხუთსაათიანი დაკითხვის შემდეგ გოგა ოძელმა "მოდულის" შენობა მშვიდობიანად დატოვა. როგორც მან აღნიშნა, დაკითხვის შესახებ მას არანაირი უწყება არ მიუღია და შესაბამისად, მისი გუშინდელი დაკავებაც მოულოდნელი იყო.

ოძელის თქმით, შსს-მ იგი "კანონიერ ქურდ" შაქრო კალაშოვის სახლთან დაკავშირებით დაკითხა. მან უპასუხა გამოძიების შეკითხვებს, მაგრამ მას კალაშოვის არც სახლის მშენებლობასთან და არც მიწის ფართობის ყიდვასთან არაფერი აქვს საერთო.

**"ხელისუფლების მხრიდან იყო პოლიტიკური რეპრესიების მცდელობა, მაგრამ ჩვენმა რეაგირებამ შესაბამისი შედეგი გამოიღო,"** - განაცხადა დღის ბოლოს კობა დავითაშვილმა.

*24 საათი*

# ყოფილი უფროსი დააკავეს

საზღვრის დაცვის N6 რეგიონალური სამმართველოს ყოფილი უფროსი, ბესიკ ზურაბიშვილი სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით დააკავეს.

ბესიკ ზურაბიშვილის წინააღმდეგ საქმე პროკურატურამ ჯერ კიდევ შარშან სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე და 342-ე მუხლების პირველი ნაწილით აღძრა. მაშინ ზურაბიშვილი N6 რეგიონალური სამმართველოს უფროსი იყო. სასაზღვრო ნაწილის ოთხი ჯარისკაცი იმ პერიოდში ნაწილიდან წავიდა. მას შემდეგ, რაც ბესიკ ზურაბიშვილმა საქმე პროკურატურას გადასცა, ჯარისკაცებმა უკვე სასაზღვრო ნაწილში არსებულ ძალადობაზე დაიწყეს საუბარი და თავის მართლებას ამ გზით შეეცადნენ. საქმე ლაგოდეხის რაიონულმა სასამართლომ განიხილა, სასამართლო პროცესზე ბესიკ ზურაბიშვილმა პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდება უსაფუძვლოდ მიიჩნია და თავი დამნაშავედ არ ცნო. საქმის განხილვის შემდეგ, მოსამართლე ნანა ჩალათაშვილმა ბრალდებული დამნაშავედ ცნო და ბესიკ ზურაბიშვილს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით შეუფარდა.

**მედიანიუსი**

# "ციხის ბუნტი გარდაუვალია"

პირველი გვერდიდან

Human Rights Watch-ის წარმომადგენლები საქართველოში მიმდინარე წლის მაისის თვეში იმყოფებოდნენ და პენიტენციალურ სისტემაში არსებულ სიტუაციას ორი კვირის განმავლობაში სწავლობდნენ. შეხვდნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც.

სხვათა შორის, პარლამენტარი ელენე თევდორაძე ბოლო დღეებში აქტიურად საუბრობს ციხეში მოსალოდნელ ბუნტზე. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე შიშობს, რომ პენიტენციალურ სისტემაში ვითარება კვლავ გართულდება, რადგან აქვს ინფორმაცია, რომ პატიმრები შიმშილობის აქციას იწყებენ. თევდორაძე იმ გაუსაძლის პირობებზე საუბრობს, რაც საპატიმრო დაწესებულებებშია.

**"აუცილებლია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კონსულტაციების დაწყება, რათა პატიმართა გადანაწილების გზები მოიძებნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუნტს თავს ვერ ავარიდებთ. ამ დღეებში შევხვდი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელძღვანელს ბაჩო ახალაიას, მაგრამ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ვერ ვიპოვეთ,"** - აცხადებს თევდორაძე.

გუშინ სასტუმრო "ვარაზში" შეკრებილი ადვოკატები და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ციხის ადმინისტრაციას პატიმრების მასობრივ ცემა-წამებაში ადანაშაულებდნენ და კონკრეტულ ფაქტებს განიხილავდნენ. მათი ინფორმაციით, 6 სექტემბერს, ღამით, თბილისის N1 საპყრობილის 39-ე საკანში მყოფ პატიმრებს ციხის ხელმძღვანელობამ სასატიკად სცემა. ერთ-ერთი პატიმრის თამაზ შავიშოვის ადვოკატის მალხაზ ლაბაძის ინფორმაციით, პატიმრები ცემაში საპყრობილის



*თუ პატიმრებს საფრთხე შეექმნებათ პასუხისმგებლობა ციხის ადმინისტრაციას დაეკისრება, - აცხადებენ ადვოკატები.*
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N33, თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, ოთახი N319. საკონტაქტო პირები: მაია გულორდავა, ვალერიან კუპატაძე ტელ: 39-.20-69

***სატენდერო კომისია***

# კვლევა-ძიება ქართულ ტექსტილში



მზევინარ ხუციშვილი

ჯერ კიდევ 1992 წელს ჩამოყალიბდა ქართული ტექსტილის ჯგუფი. ეს არის პერიოდი, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და ყველა ის ინსტიტუციები, რომლებიც მუშაობდნენ, ფაქტიურად აღარ არსებობდა. თანამოაზრეებმა, რომელიც აერთიანებდა ტექსტილის მხატვრებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ეთნოგრაფებს, გადაწყვიტეს ჩამოეყალიბებინათ ქართული ტექსტილის ჯგუფი. მათ მიზნად დაისახეს ქართული ტექსტილის პოპულარიზაცია, არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ კულტურული მემკვიდრეობისაც და იმ თანამედროვე ტენდენციების შემოტანა საქართველოში, რაც არსებობდა იმდროინდელ ტექსტილის ხელოვნებაში. 1993 წელს კი ჯგუფი ოფიციალურად ჩამოყალიბდა. მათი მთავარი აქტივობები განსაზღვრა იმან, რომ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა ტექსტილის საერთაშორისო სიმპოზიუმები, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა მიმართულებები: მემკვიდრეობა, თემატური გამოფენა, თანამედროვე ხელოვნება და საერთაშორისო ტექსტილის ბიენალე, რომლებშიც მონაწილეობენ საერთაშორისო მხატვრები. გარდა ამისა, მათი მნიშვნელოვანი საქმიანობაა უცხოელი ცნობილი ტექსტილის მხატვრების ჩამოყვანა. მათ ტრეინინგებზე დასწრების უფლება კი ყველა ქართველ მხატვარს აქვს. თუმცა ჯგუფის უმთავრესი მიზანი მაინც ქართული მატყლის მეცნიერული კვლევა და მისი ინტეგრირებაა საერთაშორისო ბაზარზე. ჯგუფში დაახლოებით ოცდაათამდე მხატვარია გაწევრიანებული. 1993 წლიდან კი ჯგუფს ხუთი სიმპოზიუმი აქვს ჩატარებული, სადაც თითო სიმპოზიუმზე 4-5 გამოფენა ტარდება. მათ შორის არის საერთაშორისო გამოფენები უცხოელი მხატვრების: ებრაელების, ამერიკელების. აგრეთვე გამოფენები შვეიცარიაში, ისრაელში, ამერიკაში...

ქართული ტექსტილის ჯგუფმა, რომლის ვიცე-პრეზიდენტიც ხელოვნებათმცოდნე ირინა კოშორიძეა, და მხატვარმა ქალბატონმა ინგე ევერსმა ტექსტილის ხელოვნების ცენტრში გუშინ პროექტის Wool Plus-ის პრეზენტაცია გამართეს. პროექტის მიზანია ქართული თექის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება, ქართული ნედლეულის კვლევა, დიზაინერების, ტექსტილის მხატვრებისა და რეგიონებში ხალხურ ოსტატ ქალთა ჯგუფების პროექტში ჩართვა. პროექტში აგრეთვე ჩართულია ქართული ტექსტილის ჯგუფისა და სხვა ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. მონაწილეები იკვლევდნენ ადგილობრივი ნედლეულის პოტენციალს, მის სხვა ტიპის მატყლთან შერწყმის უნარს, ასევე ფაქტურას, მხატვრულ თვისებებსა და სხვადასხვა დანიშნულებითა და ფუნქციით მისი გამოყენების შესაძლებლობებს. პროექტი სხვადასხვა ტიპის ნიმუშების კოლექციების შექმნით დაიწყო. ყველა ნიმუშს აქვს თავისი აღწერა, წარმომავლობა, შეთელვის კოეფიციენტი და შერწყმის უნარის მახასიათებლები. პროექტის მიმდინარეობის პერიოდში მხატვრები ასევე ექსპერიმენტებს ატარებდნენ ადგილობრივი მატყლის აბრეშუმთან შეთელვის მიმართულებითაც. ერთწლიანმა გამოცდილებამ უკვე გამოავლინა ქართული მატყლის დადებითი მახასიათებლები, მისი მაღალი პოტენციალი და ასევე მატყლის სორტირების საუკუნოვანი ტრადიციების აღდგენის აუცილებლობა. პროექტი Wool Plus აგრეთვე არის ქართული ტექსტილის ჯგუფის ერთწლიანი პროექტის "ქალთა ხალხური რეწვის ხელშეწყობა თუშეთსა და სამცხე-ჯავახეთში" შემადგენელი ნაწილი. ამ რეგიონის სხვადასხვა თემის ქალები ჩაერთვებიან თექის ნაწარმის დამზადებაში. ქალბატონი ინგე ევრსი თავად გაუწევს კონსულტაციებს თუშეთისა და სამცხე-ჯავახეთის ქალთა ჯგუფებს, იგი აგრეთვე ჩაატარებს ტრეინინგებს და ლექცია დემონსტრაციებს თბილისში და ზემო ვარძიის დედათა მონასტერში. პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ნატურალური და ქიმიური საღებავებით შეღებილი სხვადასხვა ხარისხის მატყლის კოლექციების შექმნას. შემდეგ ეტაპზე კი მოხდება მხატვრების, დიზაინერებისა და ქალთა ჯგუფების ერთიანი მუშაობა, ჩატარდება კონსულტაციები, გაკეთდება მოდიფიცირებული ნიმუშები, შეიქმნება ინტერნეტ-კატალოგი, რათა მოხდეს საერთაშორისო ბაზარზე ამ ნიმუშების გატანა.

პროექტს ფინანსურად მხარს უჭერენ ნიდერლანდების სამეფოს დაცული სახლის რეგიონალური ინსტიტუტის დირექტორი ბატონი ფერ ჰააკასი, გენერალური სპონსორი კი ფონდი ევრაზიაა, ნაწილობრივ დაფინასებას CHF ახორციელებს.

ქალბატონმა ინგე ევერსმა რამდენიმე ფილმიც ჩამოიტანა, რომელიც პრეზენტაციაზე იყო წარმოდგენილი.

# მოსკოვი-თბილისი - არტისტული დიალოგი

პირველი გვერდიდან

2002 წელს გახსნილი გალინა ვიშნევსკაიას საოპერო ცენტრი ერთგავრი ინსტიტუტია, რომელიც კონსერვატორიასა და თეატრს შორის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. მიუხედავად არცთუ ისე დიდი ხნის არსებობისა, საოპერო ცენტრი, რომელსაც მოსკოვში თეატრი და შესაბამისად საკუთარი სცენაც გააჩნია, უკვე მეტად ავტორიტეტული სახელოვნებო ორგანიზმია, რომელმაც მუშაობის პირველივე სეზონიდან მსოფლიო საოპერო სივრცეში სახელი გაითქვა და არაერთი წარმატებული ვოკალისტი აჩუქა რუსულ თეატრალურ საზოგადოებას და არა მხოლოდ მას.

გუშინ თითქმის მთელი დღე მედიასაზოგადოება თბილისში ქალბატონი ვიშნევსკაიას მარშრუტით მოძრაობდა. სტუმარი ჯერ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა, ბატონმა გიორგი გაბაშვილმა მიიღო, შემდეგი შეხვედრა კი ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა, ამ შემთხვევაში სტუმარსა და მედიას თეატრის დირექტორი ბატონი დავით საყვარელიძე გვმასპინძლობდა.

საოპერო, სასწავლო ცენტრის დაარსების იდეა ცნობილ სოპრანოს ალბათ მას შემდეგ დაებადა, რაც მეუღლესთან, მსტისლავ როსტროპოვიჩთან ერთად საბჭოთა კავშირი დატოვა და უკვე არტისტული კარიერის შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას მსოფლიოს წამყვან თეატრებსა და სასწავლებლებში ეწეოდა. გალინა ვიშნევსკაია ამჟამად რიგი უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, მუშაობს მოსკოვის კონსერვატორიის შემოქმედებით ახალგაზრდობასთან, მთელს მსოფლიოში ატარებს მასტერ-კლასებსა და უმსხვილეს საერთაშორისო კონკურსებზე ჟიურის წევრად იწვევენ. ამას გარდა იგი ეკატერინბურგში "სრულიად რუსეთის მომღერალთა ბაზრობის" პრეზიდენტია.

საოპეროს ცენტრი - სახელოვანი მომღერლის დიდი ოცნება ყოფილა. იგი მასში ხედავს შესაძლებლობას, გადასცეს უნიკალური გამოცდილება ახალგზარდა, ნიჭიერ მომღერლებს, რათა მათ "შეძლონ ღირსეულად წარმოაჩინონ რუსული საოპერო სკოლა საერთაშორისო არენაზე." საოპერო ცენტრში ექვსი საოპერო დადგმა განხორციელდა: გლინკას "რუსლანი და ლუდმილა", რიმსკი-კორსაკოვის "მეფის საცოლე", გუნოს "ფაუსტი", ვერდის "რიგოლეტო", ერენბერგის "ვამპუკა, აფრიკელი საცოლე", ჩაიკოვსკის "იოლანტა".

**გალინა ვიშნევსკაია**: "2002 წლის სექტემბერში გაიხსნა ცენტრი და ჩემი ოცნება ახდა. ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილების მქონემ კარგად ვიცი როგორ დავხმარებოდი დამწყებ მომღერლებს. სანამ ცენტრი გაიხსნებოდა სად აღარ ვმუშაობდი მათთან: შტატებში, გერმანიაში, ინგლისში, იაპონიაში, ავსტრიაში, ჰოლანდიასა და სხვა არაერთ ქვეყანაში...

ვფიქრობ, რომ ახლა, ამ მცირე პერიოდის შემდეგ, ჩვენმა საოპერო ცენტრმა დაამტკიცა, მისი აუცილებლობა და მნიშვნელობა. ამიტომაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ახალგაზრდა ვოკალისტ-შემსრულებლების ჩამოყალიბებსა და მათი კარიერის განვითარებაში. საოპერო ხელოვნებაში უკვე აღარავინ დავობს, რომ საინტერესო კონტრაქრებისა და თეატრალური მოღვაწეობისათვის არტისტს ესაჭიროება პრაქტიკა და სარეპერტუარო მარაგი. ის რასაც ჩვენ დამწყებებს ვთავაზობთ, არის მნიშვნელოვანი მზადება დიდი თეატრებისთვის."

## ქართული ნიჭის შესახებ

"სამწუხაროა, რომ საქართველოდან ჩვენს ცენტრში არავინ სწავლობს. არაერთხელ აღმინიშნავს, რომ საქართველო არაჩვეულებრივი ტენორებისა და ბარიტონების ქვეყანაა. დიდი სიამოვნებით მივიღებდი ქართველ ვოკალისტებს ჩემს სასწავლებელში. თქვენ მომღერალი ერი ხართ და არაჩვეულებრივი ხმები და ნიჭი გაგაჩნიათ. ვარსკვლაური ხმები იბადება აქ. მე დიდხანს ვმღეროდი ზურაბ ანჯაფარიძესთან ერთად და მისი ხმა დაუვიწყარია ჩემთვის. დავასახელოთ კიდევ თუნდაც რამდენიმე არტისტი, რომელებიც ახლა მღერიან: ბადრი მაისურაძე, უმშვენიერესი ტენორი, იგი ჩვენთანაც ასწავლის, პაატა ბურჭულაძე - ბრწყივალე ბანი და ა.შ. ასე რომ ბევრნი გყავთ, ვის გამოც უნდა იამაყოთ...

ვიცი, რომ ქართველი მსმენელი არაჩვეულებრივია და ამიტომაც მჯერა, რომ ჩვენი მაყურებელი სიამოვნებითა და ინტერესით მოისმენს და უყურებს იმას, რასაც ჩვენ შევთავაზებთ."

## არტისტის ბედი

"თეატრიდან მსახიობი ადრე უნდა წავიდეს და არ უნდა გადააჭარბოს. ეს ესტრადაზე შეიძლება დიდხანს შემორჩე, მაგრამ არა თეატრალურ სცენაზე. ჩემთვის საოპერო სცენიდან წასვლა არანაირ ტრაგედიებთან არ ყოფილა დაკავშირებული, იმის მიუხედავად, რომ ეს 56 წლისამ გავაკეთე, შესანიშნავად გამოვიყურებოდი, მაშინ მე ბევრ ახალგაზრდას ვჯობდი, როგორც გარეგნობით, ასევე საშემსრულებლო შესაძლებლობებით. მაგრამ არტისტის ცხოვრებაში დგება დრო, როცა გოგონას სამოსის ჩაცმა ქალბატონს აღარ შეშვენის. ამ დროს უნდა თქვა - ნახვამდის!.

მე მუდამ ვნერვიულობდი და ახლაც ვნერვიულობ სცენაზე გასვლის წინ. ასეც უნდა იყოს. როცა შალიაპინს ამის თაობაზე ჰკითხეს, მან უპასუხა: არ ნერვიულობენ მხოლოდ სულელები და მიცვალებულები."

## ისევ ქართველები

"ბოლოს თბილისში 5 წლის წინ ვიყავი, შეცვლილნი მეჩვენებით. ბევრად უფრო თავისუფლები და ლაღები ჩანხართ. ასე მგონია, რომ ახლა უფრო გავხართ საკუთარ თავებს, ქართველებს, ვიდრე მაშინ...

ჩვენს შორის (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა) ყველაფერი გაირკვევა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა, როგორც იყო და როგორც იქნება."

შეხვედრაზე დასმულ კითხვებს ქალბატონი ვიშნევსკაია საკმაოდ მკაფიოდ, შეიძლება ითქვა მკაცრად და ლაკონურად პასუხობდა. დიალოგის ხასიათი, როგორც ჩანს, მისი ხასიათის შესაბამისია. პასუხებთა უმრავლესობა წარმოგიდგინეთ, არ ვიცი რამდენად იკითხებოდა, თუმცა სახელგანთქმული სოპრანოს პასუხებში ორაზროვნება ხშირი და აშკარა გახლდათ. ალბათ ესეც ხასიათია... მართალია, ბოლო პასუხის განმარტება, რომელიც რუსულ-ქართული ურთიერთობების ყოფნაარყოფნას შეეხებოდა, ძალზე გამიჭირდება, მაგრამ ამ მოვლენას (საოპერო ცენტრის გასტროლს) მსუბუქად და მარტივად რომ შევხედოთ, ყველაზე საინტერესო ის აღმოჩნდება, თუ ამ საღამოს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მისული საზოგადოება რას იხილავს და როგორი იქნება ჩვენი თეატრალების შეფასება. ამ საკითხს კი აუცილებლად დავუბრუნდებით და კიდეც ჩავუღრმავდებით, ყოველგვარი სიმარტივისა და სიმსუბუქის გარეშე.

საოპერო ცენტრი თბილისში 25 მსახიობით წარდგება. ჯუზეპე ვერდის "რიგოლეტოს" ვიშნევსკაიას აღსაზრდელები ივალ პოპოვსკის რეჟისურითა და ალა კოჟენკოვას მხატვრობით წარმოგვიდგენენ. 15 სექტემბრის საღამოს 19 საათზე კი მაყურებელი რიმსკი-კორსაკოვის ოპერას და სხვათა შორის, ვიშნევსკაიას ერთ-ერთ რჩეულ ნაწარმოებს "მეფის საცოლეს" იხილავს. ქმნილებას, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის რეპერტუარის ერთგულთათვის სასიამოვნო სიახლეს წარმოადგენს.


"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ლაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

განებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**








გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge






## მოკლედ

### ყველა დროის საუკეთესო მიუზიკლი

აშშ-ის კინემატოგრაფიის ინსტიტუტმა მსოფლიოში ყველა დროის საუკეთესო მიუზიკლად 1952 წელს ჰოლივუდში გადაღებული "წვიმაში მომღერალი" დაასახელა. ფილმი იმ პერიოდში გადაიღეს, როცა მიუზიკლის ჟანრს ჰოლივუდში პოპულარობა დაკარგული ჰქონდა. ფილმში ცნობილ სიმღერას მსახიობი და ამავე ფილმის რეჟისორი ჯინ კელი ასრულებს. იმ პერიოდის "ოსკარის" დაჯილდოების ცერემონიაზე "წვიმაში მომღერალი" საკმაოდ გულგრილად მიიღეს. სამაგიეროდ 54 წლის შემდეგ 500-კაციანმა ჟიურიმ ფილმი ასწლეულის ყველაზე ღირსეულ ნამუშევრად დაასახელა. გამარჯვებულთა შემდეგ, სამეულში "ოზის ქვეყნის ჯადოქარი", "მუსიკის ჰანგები" და "კაბარე" შევიდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### დნესტრისპირეთის ტოტალიტარიზმის მუზეუმი

დნესტრისპირეთის სეპარატისტულ რესპუბლიკაში უახლოეს მომავალში ტოტალიტარიზმისა და ფაშიზმის მუზეუმი გაიხსნება. მუზეუმის დაფუძნებაზე საერთაშორისო ახალგაზრდული კორპორაცია და პარტია "პრორივი" მუშაობს. როგორც კორპორაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, ალიონა არშინოვამ, განაცხადა, პირველი ექსპონატი ტოტალიტარიზმისა და ფაშიზმის მუზეუმში მოლდავეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ ვორონინი, გახდება. "ამ ადამიანმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე თავის ქვეყანაში დიქტატურა დაამყარა, რომელსაც დნესტრისპირელი ხალხისთვის ფაშიზმთან არის ასოცირებული", - განაცხადა არშინოვამ. მისი თქმით, ვორონინის გარდა, მუზეუმში ექსპონატებად საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მოლდოვური ტერორისტული დაჯგუფება "ბუჟორის" წარმომადგენელი ილია ილაშკა და ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის კომიტეტის თავმჯდომარე მოლდავეთში, შტეფან ურიტუ მოხვდებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**


**56-ე საჯარო სკოლაში იხსნება ქართული კლასები.**
**მისამართი: ფალიაშვილი N34**
**ტელ: 23-58-12**
**22-35-85**

მოკლედ

## ჰაინც ტოპმიოლერის რჩეულნი

საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები უახლოეს ერთ თვეში ხუთ საერთაშორისო შეხვედრას ჩაატარებს: 19 და 21 სექტემბერს ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი აზერბაიჯანში მასპინძელთა ნაკრებს გაეჯიბრება, ოქტომბრის დასაწყისში კი ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის საკვალიფიკაციო ეტაპზე მეოთხე ჯგუფში იასპარეზებს ჩრდილოეთ ირლანდიის, რუმინეთისა და ბელგიის ნაკრებებთან ერთად. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰაინც ტოპმიოლერმა დღეს დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებში არიან მიწვეულნი აზერბაიჯანის ნაკრებთან დაგეგმილი ამხანგური შეხვედრებისთვის:

მეკარეები: თემურ კაკალაძე (ბათუმის "დინამო", 1988), როინ კვასხვაძე ("ზესტაფონი", 1989)

მცველები: დავით მჭედლიშვილი ("ამერი", 1988), გიორგი გავაშელიშვილი ("ზესტაფონი", 1989), ზურაბ გვაძაბია ("ამერი", 1988), გულვერდ თომაშვილი (თბილისის "დინამო", 1988), გიორგი ხიდეშელი ("ზესტაფონი", 1988), გიორგი კვანტალიანი ("გაგრა", 1989), გიორგი ელბაქიძე ("ამერი", 1988), გიორგი ჭედია ("ტორპედო", 1988)

ნახევარმცველები: მირზა ბჟალავა ("ზესტაფონი", 1988), გიორგი განუგრავა ("ზესტაფონი", 1988), ალექსი ბენაშვილი ("ზესტაფონი", 1989), ზურაბ მაილაშვილი ("მერანი", 1988), ნიკა კვასხვაძე ("ზესტაფონი", 1988), თამაზ ჩარგეიშვილი (თბილისის "დინამო", 1989), გიორგი ბაბულაიძე ("გაგრა", 1989)

თავდამსხმელები: რატი წინამძღვრიშვილი ("ამერი", 1988), ბესიკ ჩიმაკაძე ("ამერი", 1988), ვახტანგ კვარაცხელია ("ოლიმპი", 1988), ბექა გოცირიძე ("ზესტაფონი", 1988)

ზაპოროჟიეს "მეტალურგში" მოთამაშე მეკარე რევაზ თევდორაძე, რომელიც ამ გუნდის ძირითად მეკარედ ითვლება, ამხანაგური შეხვედრებისთვის ნაკრებში არ არის მიწვეული. ჰაინც ტოპმიოლერი თემურ კაკალაძესა და როინ კვასხვაძეს გამოცდის, რის შემდეგაც მეორე მეკარეს დაასახელებს. საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები სფფ-ის ტექნიკურ ცენტრში 18 სექტემბერს დილით შეიკრიბება, საღამოს, 17.30-ზე კი ბაქოში გაფრინდება. ამხანაგური შეხვედრები 19 და 21 სექტემბერსაა დაგეგმილი, 22-ში კი გუნდი თბილისში დაბრუნდება. 25 სექტემბრიდან დაიწყება მზადება ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშებისთვის. ამ შემადგენლობას კიდევ ოთხი ფეხბურთელი დაემატება და ნაკრები მზადებას 25 მოთამაშით გააგრძელებს. 30 სექტემბერს, გამთენიისას, ნაკრები რუმინეთში გაფრინდება, ხოლო 4 ოქტომბერს პირველ შესარჩევ შეხვედრას ჩაატარებს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან. 6-ში მასპინძლებს გაეჯიბრება, 9 ოქტომბერს კი - ბელგიას. შეგახსენებთ, რომ შარშან საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებმა ელიტ-რაუნდის საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია. ***სფფ-ის პრესცენტრი***

## არაგონესი დარჩა

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუის არაგონესმა თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა. ამის მიზეზი გულშემატკივართა უკმაყოფილება იყო, რომლებიც წარუმატებლობას მთლიანად არაგონესს აბრალებდნენ. ვეტერანმა მწვრთნელმა განცხადებაც კი დაწერა გადადგომაზე, მაგრამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. გუშინ 68 წლის სპეციალისტმა ნაკრებში დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო. "ბევრი ვიფიქრე. უმჯობესი იქნება, თუ ნაკრებში გავაგრძელებ მუშაობას," - აცხადებს არაგონესი.

## მადრიდელთა ახალი ფენომენი

"ლევანტესა" და "რეალის" მატჩის შემდეგ, რომელიც მადრიდელებმა 4:0 მოიგეს და რომელშიც რუუდ ვან ნისტელროომ ჰეთ-თრიკს მიაღწია, დევიდ ბექჰემმა განაცხადა: "რუუდი "მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ფენომენი იყო და ფენომენი იქნება ჩვენთვისაც".

## კაკას კაპიტნობა სურს

"მილანის" ბრაზილიელმა მცველმა რიკარდო კაკამ კიდევ ერთხელ უარყო, რომ დატოვებს იტალიურ კლუბს და გადავა მადრიდის "რეალში". მეტიც: კაკა თავის მომავალს მთლიანად "მილანს" უკავშირებს და ამ გუნდის კაპიტნობაც კი სურს. "მილანის" დატოვება ჩემს გეგმებში არ შედის. მსურს ამ გუნდის კაპიტანი გავხდე და "მილანის" ისტორიაში ისეთივე ადგილი დავიკავო, როგორიც პაოლო მალდინის უკავია", - აცხადებს ბრაზილიელი.

## ზლატანს თავისუფლება მისცეს

მილანის "ინტერის" შვედი ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი აცხადებს, რომ ახალ გუნდში მას მოქმედების უფრო მეტ თავისუფლებას აძლევენ. "აქ უკეთ ვგრძნობ თავს. კაპელო მზღუდავდა, "ინტერში" კი მოქმედების თავისუფლება მაქვს", - აცხადებს ფეხბურთელი.

# ბოლო აკორდი

ვასილ უდუმაშვილი

"რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, წლევანდელი სეზონი გამარჯვებით უნდა დავამთავროთ", - გვითხრა ზაზა ფაჩულიამ, სანამ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ფინეთში გაემგზავრებოდა წლევანდელი წლის უკანასკნელი შესარჩევი მატჩის გასამართად.

ფინეთის გუნდი ჩვენი მთავარი მეტოქეა. მართალია, ჯგუფში პირველი ადგილი ელიტურ დივიზიონში მოხვედრის სრულ გარანტიას არ იძლევა (შემდეგ ჩვენს ნაკრებს პლეიოფის მატჩები ექნება გასამართი), მაგრამ ყველასთვის მშვენივრად არის ცნობილი, რომ ქვედა დივიზიონს ორი ფავორიტი ჰყავს - საქართველო და ფინეთი.

გასულ სეზონში ამ ორი გუნდის ომით მაკედონიელებმა ისარგებლეს და დღეს უკვე A დივიზიონში ასპარეზობენ. წლეულს წარსულის შეცდომები არ გამეორდა. ჩვენმა კალათბურთელებმა ფინეთთან მატჩამდე ყველა თამაში დამაჯერებლად მოიგეს და მთავარ მეტოქესაც კარგი განწყობით უპირისპირდებიან. თანაც, გასულ სეზონთან შედარებით საქართველოს ნაკრები უკვე სულ სხვა გუნდია. თუ ერთი წლის წინ, ფაქტობრივად, ხუთი კალათბურთელის ამარა ვიყავით, ახლა საქართველოს ნაკრებს საკმაოდ გრძელი სკამი აქვს, რაც კალათბურთში ხშირად გადამწყვეტია.



ფაჩულიას სეზონის გამარჯვებით დასრულება სურს.

რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებში საკმაოდ არის პრობლემები, რაზეც გორდონ ჰერბერტი ფინეთში გამგზავრებამდე ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ უპრობლემო გუნდი საერთოდ არ არსებობს და თუ ჩვენს ნაკრებს ელიტურ დივიზიონში თამაშის პრეტენზია აქვს, თავისთვის კარგად ნაცნობ ფინეთის გუნდს აუცილებლად უნდა მოუგოს, რადგან, თუ კალათბურთელთა წმინდა საშემსრულებლო ოსტატობას გავითვალისწინებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველი კალათბურთელები გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე ფინელები, თუნდაც იმიტომ, რომ ფინეთის ნაკრებში NBA-ს არც ერთი კალათბურთელი არ თამაშობს, ჩვენთან კი ასეთი ორია. ის კი არა, ამერიკულ ლიგაში მოთამაშე ორ კალათბურთელს ევროპული კალათბურთის გრანდებიც ვერ დაიკვეხნიან.

ამრიგად, ფინეთში გამარჯვება აუცილებელია, თუმცა, თუ მოვლენებს წმინდა სატურნირო თვალსაზრისით შევაფასებთ, სუომისთან მცირე სხვაობით წაგებაც დასაშვებია - მომავალ წელს მეტოქეს უკვე განახლებულ სპორტის სასახლეში ვუმასპინძლებთ და საჭირო ანგარიშით მოგებაც უნდა შევძლოთ. მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ სატურნირო ცხრილზე არ უნდა იყოს საუბარი. საქართველოს ნაკრებმა უნდა დაამტკიცოს, რომ B ჯგუფში არაფერი ესაქმება. ამისთვის კი მთელი შესარჩევი ციკლი წარმატებით უნდა განვლოს, ფინეთს კი შინ და სტუმრადაც უნდა მოუგოს.

ზაფხულში ფინელთა დამარცხებისა და ელიტურ დივიზიონში აღზევების კარგი ტრადიცია ჩამოყალიბდა. ჯერ იყო და, ახალგაზრდულმა ნაკრებმა დააჩოქა ფინელები და ელიტაში გადავიდა. შემდეგ იგივე კადეტებმა გააკეთეს. დადგა დრო, რომ ყველაფერი გასამდეს.

# დემეტრაძეს ავტორიტეტთა რისხვის როლი აკმაყოფილებს

კიევის "დინამოსთან" 10 სექტემბერს ჩატარებულ მატჩში დონეცკის "მეტალურგის" ქართველი ლეგიონერი გიორგი დემეტრაძე მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ის ხშირად ამწვავებდა თამაშს შოვკოვსკის კართან, ასრულებდა სტანდარტულებს, აქტიურად მონაწილეობდა ბურთის ართმევაში. მაგრამ მეორე ტაიმის შუაში მან ფეხი იტკინა და შეცვლა ითხოვა. მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა.

**- რამდენად სერიოზულად დაშავდი?**

- ორთაბრძოლის დროს ერთ-ერთმა კიეველმა კოჭში ჩამარტყა და თამაშის გაგრძელება ველარ შევძელი. რამდენად სერიოზული იქნება ტრავმა, ჯერ ვერ გეტყვით. ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ გაირკვევა, რა სახის დაზიანება მივიღე.

**- კმაყოფილი ხარ თამაშით?**

- კარგი თამაში გამოდგა. ვცდილობდით, დაცვაში საიმედოდ გვეთამაშა, აქცენტს კონტრშეტევებზე ვაკეთებდით. ვფიქრობ, საბოლოოდ შევძელით არჩეული ტაქტიკის რეალიზება. პირველი ტაიმის შუაში დავწინაურდით კიდეც. შემდეგაც შევქმენით საგოლე მომენტები, მაგრამ არ გაგვიმართლა. არც საკმარისი საშემსრულებლო ოსტატობა აღმოგვაჩნდა.

**- არ გაგიჭირდა სამი დღის განმავლობაში ზედიზედ მეორედ შოვკოვსკის, ნესმაჩნისა და რებროვის წინააღმდეგ თამაში?**

- ეს ჩვეულებრივი ამბავია. ოთხშაბათს ეროვნული ნაკრებების დონეზე ვითამაშეთ, შაბათს კი საკუთარი კლუბების ღირსება დავიცავით. უფრო რთული შემთხვევებიც არსებობს. სპორტის ზოგიერთ სახეობაში ხომ პლეი-ოფების სერია არსებობს, რომლის დროსაც ერთი და იგივე მეტოქის წინააღმდეგ ზედიზედ შვიდჯერ გიწევს თამაში.

**- სურვილი ხომ არ გაგჩენია, რომ, როგორც სანაკრებო შეხვედრაში, კიდევ ერთხელ "გაგესროლა" შოვკოვსკის კარისკენ - შენ ხომ რამდენჯერმე ანალოგიური პოზიციიდან მოგიხდა სტანდარტის შესრულება და ყველა შემთხვევაში კარში დარტყმას ჩაწოდება ამჯობინე...**

- ამაზე არც მიფიქრია. დღეს მხოლოდ ვაწოდებდი, იმის იმედით, რომ რომელიმე პარტნიორი მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში გაიმარჯვებდა და გოლს გაიტანდა. გულახდილად რომ ვთქვა, ჩემი არც ერთი ჩაწოდება წარმატებული არ გამოდგა. და მაინც, გოლი ჩაწოდების შემდეგ გავიტანეთ - კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი თავით პრიემოვმა შოვკოვსკის კარში გაგზავნა.

**- თქვენი გუნდი ავტორიტეტთა რისხვა გახდა - ქულები აართვით "შახტარსაც" და კიევის "დინამოსაც"...**

- "მეტალურგიც" ავტორიტეტული გუნდია. ყოველ შემთხვევაში, უკრაინული საზომებით მაინც. არაერთხელ გავხდით ეროვნული პირველობის პრიზიორები, გვითამაშია უეფას თასზეც. გასულ სეზონში წარუმატებლად გამოვედით, მაგრამ მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. ამას მოწმობს მიმდინარე სეზონში ჩვენს მიერ ნაჩვენები შედეგები. ავტორიტეტთა რისხვის რანგში თავს საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობთ.

**- რა აკლია შენს გუნდს იმისთვის, რომ გულშემატკივარი უფრო შედეგიანი თამაშით და მეტი მოგებით გაახაროს?**

- ამ სეზონის "მეტალურგი" პრაქტიკულად ახალი გუნდია - ახალი მწვრთნელით და ფეხბურთელებით. ცოტათი გვაკლია ფეხბურთელებს შორის ურთიერთგაგება და შეთამაშება, მაგრამ ეს მალე გამოსწორდება. ბოლო შეხვედრებმა დაადასტურა, რომ თამაშის ორგანიზაციის თვალსაზრისით პროგრესის გზაზე ვართ. იმედი მაქვს, რომ უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებამდე ეს პროცესი მუდმივ ხასიათს შეიძენს და მეორე წრეს საუკეთესო სპორტულ ფორმაში შევხვდებით.

**- ამ სეზონში რა ამოცანა დგას "მეტალურგის" წინაშე - უეფას ზონის საგზურის მოპოვება?**

- მიზანი ცოტათი ზოგადი გვაქვს - უკრაინის ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში წარმატებით გამოსვლა. ორ მთავარ ფავორიტთან - დონეცკის "შახტართან" და კიევის "დინამოსთან" ფრედ ნათამაშევი მატჩები იმის საფუძველს გვაძლევს, რომ უფრო მაღალი მიზნებისთვისაც ვიბრძოლოთ. ვნახოთ, რა გამოგვივა. ვფიქრობ, ახლანდელ "მეტალურგს" საამისო ძალა შესწევს.



## განცხადება სატენდერო პროცედურების განახლების შესახებ

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სატენდერო კომისია ყველა დაინტერესებულ პირს აცნობებს, რომ განახლდა მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის (მათ შორის მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის) ამბულატორიული დახმარების კომპონენტის მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების ქვეკომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესასყიდად გამოცხადებული ორეტაპიანი ტენდერი (განცხადება გამოქვეყნებულია გაზეთში "24 საათი" 2006 წლის 17 მაისს; N107).

გთხოვთ, ა. წ. 3 ოქტომბრიდან 4 ოქტომბრის 18 საათამდე წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული განცხადებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება.

სატენდერო კომისია

## "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" / "ემ-სი-ჯი" რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების (რიგ) პროექტი მოწვევა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრაზე

"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ("ემ-სი-ჯი") და მისი კონტრაქტორი კომპანია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("მგფ") იწვევს ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას, მონაწილეობა მიიღონ **რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების (რიგ) პროექტის** ფარგლებში დაგეგმილ საკონსულტაციო შეხვედრებში.

საკონსულტაციო შეხვედრების მიზანია ადგილობრივი მოსახლეობისა და საზოგადოების ინფორმირება ზოგადად პროგრამის შესახებ, აგრეთვე **რიგ პროექტის** მიმდინარე საქმიანობის გაცნობა. პრეზენტაციის დასასრულს ყველა დაინტერესებულ პირს მიეცემა საშუალება მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია **რეგიონული ინფრასტურქტურის განვითარების (რიგ) პროექტის** შესახებ.

**შემდეგი შეხვედრები დაგეგმილია ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის რეგიონებში:**

**15 სექტემბერი, 2006, 12:00, მცხეთა, კულტურის სახლის შენობა, დ. აღმაშენებლის ქ. N41**

**19 სექტემბერი, 2006, 12:00, რუსთავი, მერიის შენობა, კოსტავას ქ. N20**

**21 სექტემბერი, 2006, 12:00, გორი, რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, სტალინის ქ. N 16**

ინფორმაცია სხვა საკონსულტაციო შეხვედრების თაობაზე გამოქვეყნდება მოგვიანებით.

**დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:**

| | |
|---|---|
| **ფონდი — ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს**<br>ელენე ალადაშვილი - კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში<br>ტელ: (995 32) 50 77 70<br>ელ-ფოსტა: e.aladashvili@mcg.ge | **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**<br>მაია გიქოშვილი<br>პროექტის მართვის უფროსი სპეციალისტი<br>ტელ: (995 32) 94 32 40<br>ელ-ფოსტა: mgikoshvili@mdf.org.ge |

*რეგიონული ინფრასტურქტურის განვითარების პროექტს ახორციელებს: მგფ*

## მოწვევა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

*საქართველო*
*სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი*

ლაბორატორიული მოწყობილობების მიწოდება მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტისათვის

კრედიტი N: 3347GE.

1. ეს მოწვევა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოსდევს 2004 წლის 16 იანვარს გაზეთ "*Development Business*"-ის N622-ში გამოქვეყნებულ ზოგად შეტყობინებას "სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის" ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვების შესახებ.

2. საქართველომ საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან მიიღო კრედიტი სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტისათვის და განზრახული აქვს ამ კრედიტის თანხის ნაწილის გამოყენება კონტრაქტის #ARET/ICB/02-2006 - "ლაბორატორიული მოწყობილობების მიწოდება მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტისათვის" ფარგლებში გათვალისწინებული გადახდების ასანაზღაურებლად.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე კონკურსანტებს, რათა მათ წარადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტისათვის შემდეგი საქონლის მიწოდებისათვის:

**კონტრაქტი N1: ზოგადი ლაბორატორიული მოწყობილობები;**

**კონტრაქტი N2 ტემპერატურის მაკონტროლებელი მოწყობილობები;**

**კონტრაქტი N3: სტაბილური იზოტოპების აღმომჩენი ხელსაწყო;**

**კონტრაქტი N4: გარემო პირობებისა და მცენარის პარამეტრების შემსწავლელი ხელსაწყოები;**

**კონტრაქტი N5 ხელსაწყოები მიკროსკოპული ანალიზისათვის;**

**კონტრაქტი N6 წყლის გამოსახდელი და გამწმენდი სისტემა;**

**კონტრაქტი N7 პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის საკვლევი ხელსაწყო რეალურ დროში (რაოდენობრივი პჯრ)**

**კონტრაქტი N8 რადიაციის სინსილაციური მთვლელი.**

კონკურსანტებს შეუძლიათ წარადგინონ საკონკურსო წინადადებები ნებისმიერი ერთი, რამოდენიმე ან ყველა კონტრაქტისათვის. შეფასება და კონტრაქტის მინიჭება მოხდება თითოეული კონტრაქტისათვის ცალკე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

კონკურსანტმა თითოეული კონტრაქტისათვის უნდა აჩვენოს, რომ მან წარმატებით განახორციელა მინიმუმ ორი (2) მსგავსი ღირებულებისა და სახის კონტრაქტი ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი წარადგენს საკონკურსო წინადადებას ერთზე მეტი კონტრაქტისათვის, მან უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისი კონტრაქტების ჯამური ღირებულების ეკვივალენტური თანხისათვის.

4. კონკურსი ჩატარდება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში "შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის ფარგლებში" (გამოცემული 1995 წლის იანვარში, გადასინჯული: 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში) განსაზღვრული საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების თანახმად. საკონკურსო ვაჭრობაზე დაიშვება ყველა კონკურსანტი აღნიშნულ სახელმძღვანელოში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

5. დაინტერესებულ კონკურსანტებს დამატებითი ინფორმაციის მოპოვება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა შეუძლიათ პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10 საათიდან 17 საათამდე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

საკონკურსო დოკუმენტაციის მთლიანი პაკეტის ელექტრონული ვერსია ინგლისურ ენაზე უსასყიდლოდ გადაეგზავნება დაინტერესებულ კონკურსანტს მოთხოვნის საფუძველზე. შემდგომი მოთხოვნის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაციის დაბეჭდილი ვარიანტი კურიერის საშუალებით გადაეგზავნება კონკურსანტს მიმღების ხარჯზე.

6. საკონკურსო წინადადებები მიტანილი უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 13 ოქტომბრის 13:00 საათისა. საკონკურსო წინადადებებს თან უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების გარანტია 400 ლარის ოდენობით პირველი კონტრაქტისათვის, 2500 ლარის ოდენობით მეორე კონტრაქტისათვის, 10500 ლარის ოდენობით მესამე კონტრაქტისათვის, 1400 ლარის ოდენობით მეოთხე კონტრაქტისათვის, 700 ლარის ოდენობით მეხუთე კონტრაქტისათვის, 400 ლარის ოდენობით მეექვსე კონტრაქტისათვის, 1700 ლარის ოდენობით მეშვიდე კონტრაქტისათვის და 1000 ლარის ოდენობით მერვე კონტრაქტისათვის ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში ექვივალენტური თანხის ოდენობით. თუ კონკურსანტი წარადგენს წინადადებას ერთზე მეტი კონტრაქტისათვის, საკონკურსო წინადადების გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს კონტრაქტების შესაბამისი კომბინაციისათვის მოთხოვნილი საკონკურსო გარანტიების ჯამურ თანხაზე. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 13 ოქტომბრის 13:00 საათზე კონკურსანტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას.

*საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახხორციელებელი საქართველოს სოსფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი.*
*ოთახი N 327, კოსტავას 41,*
*თბილისი, 0123, საქართველო.*
*ტელ/ფაქსი: (99532) 934651/922038*
*დირექტორი: ნათია ჯორჯიკია, ე-ფოსტა: natia..jorjikia@adpcc.org.ge*
*საკონტაქტო პირი: თეა ტორიაშვილი*
*ე-ფისტა: thea.toriashvili@adpcc.org.ge*

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## Coca-Cola ავღანეთში ბრუნდება

კომპანია Coca-Cola ავღანეთის ბაზარზე ბრუნდება. ათი წლის წინ ავღანეთში ამერიკული გამაგრილებელი სასმელის ქარხანას საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს და გაანადგურეს.

Coca-Cola-ს ახალი ქარხანა, რომელიც ქაბულში მდებარეობს, 60 ათასმეტრიან ტერიტორიას იკავებს და მისი მშენებლობა 25 მილიონი დოლარი დაჯდა. ცნობილია, რომ ქარხანა ქაბულში 350 ახალ სამუშაო ადგილს უზრუნველყოფს.

უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი შენობის საზეიმო გახსნისას ავღანეთის პრეზიდენტმა ხამიდ კარზაიმ განაცხადა, რომ ეს ინვესტიცია ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას, რაც ავღანეთის ეკონომიკის დამოუკიდებელი და წარმატებული მომავლის საწინდარი გახდება. თუმცა ქაბულის მოსახლეობის უმეტესობა პრეზიდენტის აზრს არ ეთანხმება. ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ ვინმე ჯომა გულიას ინტერვიუ გაავრცელა, რომელიც ადრე Coca-Cola-ს ქარხანაში მუშაობდა. "ავღანეთისთვის ინვესტიციები მართლაც მნიშვნელოვანია, თუმცა ეს არა უალკოჰოლო სასმელების, არამედ ახალი საავადმყოფოებისა და სხვა სოციალური მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობასა და რეაბილიტაციაში უნდა ჩაიდოს," - აცხადებს ის.

ავღანეთის ხელისუფლება კი ქვეყნის სამომავლო ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას ოპტიმისტურად უყურებს. მათ იმედი აქვთ, რომ Coca-Cola-ს ქვეყანაში ბევრი სხვა ინვესტორი შემოჰყვება. ხელისუფლების წარმომადგენლები არც იმას გამორიცხავენ, რომ ახალი ქარხანა, შესაძლოა, თალიბელი ბოევიკებისთვის ხელსაყრელ სამიზნედ იქცეს.

ნიუხედავად ამისა, კომპანია Coca-Cola ავღანეთის ბაზარზე დაბრუნებას მაინც აპირებს.

არც ქარხნის მფლობელი, დუბაის მოქალაქე, ბიზნესმენი ხაბიბულა გულზარი გამორიცხავს საშიშროებას. "მართალია, არსებობს უსაფრთხოების პრობლემა, თუმცა ეს ჩვენს გეგმებს ხელს მაინც ვერ შეუშლის. Coca-Cola-ს ავღანეთში ნათელი მომავალი აქვს. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ როცა ქვეყანაში ეკონომიკა მზარდი ნაბიჯებით ვითარდება, მას საფრთხე ყოველთვის თან ახლავს," -აცხადებს ბიზნესმენი.

კომპანია Coca-Cola-ს ადგილობრივი მწარმოებლების ინფორმაციით ახალი ქარხანა წელიწადში 360 მილიონ ბოთლ გამაგრილებელ სასმელს გამოუშვებს. ამასთან, პირველ ხანებში ქარხანა მხოლოდ ავღანეთის ბაზრისთვის ისეთი პოპულარული ბრენდების წარმოებასაც დაიწყებს, როგორიცაა Fanta და Sprite.

ახალი საბაჟო ტარიფები და მაინც უკმაყოფილო მოსახლეობა B2

ახალ ბიზნესებს სამშენებლო კოდექსი დაარეგულირებს B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3133 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9834 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4751 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7450 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8148 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1343 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2973 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3043 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2177 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4175 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3356 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1751 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1491 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2618 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1901 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2444 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3980 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5601 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1612 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4318 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3115 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2674 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5563 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5862 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0651 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1089 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4457 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5158 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4206 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4795 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8053 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0341 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1386 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4433 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2385 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4032 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0783 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2194 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2243 |




# ინფლაცია – გამოწვევა საფრთხედ არ უნდა გადაიქცეს!

ზურაბ გარაყანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

*ინფლაცია ეკონომიკაში ფასთა საერთო დონის ზრდაა საბაზო დონესთან მიმართებაში. შესაბამისად, ინფლაცია ასევე მოიაზრება, როგორც ფულის მსყიდველობითუნარის კლება. ინფლაცია დეფლაციის ანტონიმია. ზოგიერთ კონტექსტში სიტყვა "ინფლაცია" გამოიყენება ფული მიწოდების ზრდის მნიშვნელობით, რასაც ზოგჯერ განიხილავენ, როგორც ფასთა ზრდის მიზეზს. ზოგიერთი ეკონომისტი კვლავაც ამ განსაზღვრებას ამჯობინებს. ასე მაგალითად, 1920-იანი წლების აშშ-ს ეკონომიკის ზოგიერთი ანალიტიკოსი მიუთითებს ინფლაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ ფასები იმ პერიოდში არ იზრდებოდა. ამ სტატიაში "ინფლაცია" განხილულია მისი ტრადიციული მნიშვნელობით.*

**"აგრესიული პრივატიზების" ეტაპი მსხვილი საწარმოების განსახელმწიფოებრიობის დასრულებასთან ერთად დამთავრდა. ახლა საჭიროა თვისებრივად ახალი, "მასობრივი პრივატიზების" ეტაპის დაწყება, რაც ინსტიტუციონალურ ცვლილებებს მოითხოვს. ამჟამად დარჩენილია 1490 წვრილი და არარენტაბელური, აქედან გამომდინარე, პრივატიზების თვალსაზრისით ნაკლებადმიმზიდველი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმო.**




B2

# ყველაფერი გაძვირდა, ბინებიც...

ამბროსი ბრიშიკაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

*ბოლო ხანებში გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყანაში, და მათ შორის - საქართველოშიც, მკვეთრად გაიზარდა ბინების ფასი. მისი ზრდა შეეხო როგორც ერთოთახიან, ისე ორ და სამოთახიან ბინებს, კომერციულ ფართობსა და "შავ კარკასს".*

- **ბინების ფასებს ზრდის ასევე მშენებელ კომპანიათა მაღალი მარჟა. დღეს სამშენებლო ფირმების საშუალო მარჟა 20-25 პროცენტს შეადგენს, ხოლო თუ მას სამშენებლო მიწის ფართობი წლების წინ აქვს შეძენილი, იგი შეიძლება 100 პროცენტიც კი იყოს.**
- **2006 წლის I ნახევარში ბინები 50%-ით გაძვირდა. კერძოდ, თუ 2005 წლის ოქტომბერში აქ 1 კვ.მ. საბინაო ფართობის ფასი შეადგენდა მხოლოდ 2 ათას დოლარს, მიმდინარე წლის ივლისის დასაწყისში იგი 3500 დოლარი გახდა.**



B4

# ბიოქიმიური მონსტრი

## Bayer-ის სწრაფვა სიახლისა და მსოფლიო ბატონობისაკენ

გოჩა ქიმუცაძე

*კონცერნი Bayer Group-ი საუკუნეზე მეტია, მთელს მსოფლიოშია განთქმული. კომპანია, რომელმაც კაცობრიობას ასპირინი და სულფანილამიდები აჩუქა, მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწევა და ბიოქიმიური სფეროს ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ. განთქმული ჟურნალ Forbes-ის მონაცემებით, გასულ წელს Bayer-ის კაპიტალიზაციამ 31,41 მილიარდი დოლარი, მოგებამ კი 40,38 მილიარდი დოლარი შეადგინა. თუმცა, თუ ახლახან კონცერნის მიერ განხორციელებულ უმსხვილეს გარიგებას გავითვალისწინებთ, მომავალში ბევრად შთამბეჭდავ ციფრებს ვიხილავთ.*

- **სალებავი და ასპირინი**
- **ომის კანონებით**
- **მონსტრის დაბადება**



ფრიდრიხ ბაიერი და იოჰან ფრიდრიხ ვესკოტი.

B3

## სადაზღვევო პროდუქტი სპეციალურად მასწავლებლებისთვის

დღეიდან სადაზღვევო კომპანია "ბი სი აი" - სადაზღვევო პროგრამა "ჩემები", სპეციალურად მასწავლებლებისთვის შექმნილი სამედიცინო ფასდაკლების ბარათების დარიგებას იწყებს. სადაზღვევო კომპანია "ბი სი აი" სადაზღვევო პროგრამა "ჩემების" ფარგლებში ნერგავს ჯანმრთელობის დაზღვევის უახლეს პროდუქტს "ჩემები-სკოლა". სადაზღვევო კომპანია "ბი სი აი" ჩაერთო თბილისის მერიისა და საქართველოს ბანკის ერთობლივ ღონისძიებაში. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით დაიგეგმა თბილისის სკოლებისა და საბავშვო ბაღების 25 ათასი მასწავლებლისთვის, დახმარების სახით, 100 ლარის გადაცემა, რომელიც მასწავლებლებს შეეძლებათ მიიღონ საქართველოს ბანკში გახსნილი ანგარიშის მეშვეობით.

სადაზღვევო კომპანია "ბი სი აი" პროგრამა "ჩემების" ფარგლებში ყველა მასწავლებელს ურიგებს "ჩემების მასწავლებლის" ფასდაკლების ბარათს (ბარათის მიღება შესაძლებელია დიდუბის საგამოფენო ცენტრში, N11 სტუდენტური პავილიონში და "ჩემების" სერვის ცენტრებში). ბარათის მფლობელს საშუალება ექნება, შეიძინოს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი 20-პროცენტიანი ფასდაკლებით, ისარგებლოს 15-პროცენტიანი ფასდაკლებით "ჩემი ოჯახის კლინიკაში" (ექო, ლაბორატორიული ანალიზები, ექიმის კონსულტაცია და სხვა) და დამატებით მიიღოს 20-პროცენტიანი ფასდაკლება "მიულერდენტში" ნებისმიერ სტომატოლოგიურ მომსახურებაზე. სადაზღვევო პროგრამა "ჩემების" მიერ სპეციალურად მასწავლებლებისთვის შექმნილი, ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის ფასდაკლებით შეძენა პედაგოგებს შეეძლებათ "ბი სი აის" სათაო ოფისში ან "ჩემების" სერვის-ცენტრებში. უახლოეს მომავალში სადაზღვევო კომპანია "ბი სი აი" სადაზღვევო პროგრამა "ჩემების" ფარგლებში მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შესთავაზებს ჯანმრთელობის დაზღვევის განსაკუთრებულ პროდუქტს, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება. **24 საათი**

## ამერიკის სავაჭრო პალატა საბაჟო კოდექსის გამარტივებულ ვარიანტზე მუშაობს

ამერიკის სავაჭრო პალატა, USAID-ის ხელშეწყობით, ახალი საბაჟო კოდექსის გამარტივებულ ვარიანტზე მუშაობს. "ამერიკის სავაჭრო პალატაში 3 საბაჟო ექსპერტი ახალი "საბაჟო კოდექსის" გამარტივებულ ვარიანტზე ინტენსიურად ვმუშაობთ. გამარტივებული ვარიანტი კოდექსით დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი იქნება და ისინიც უფრო ნათლად გაერკვევიან კოდექსში შესული ცვლილებების არსში," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" ამერიკის სავაჭრო პალატის ექსპერტმა გიორგი პერტაიამ. მისივე ინფორმაციით, დეკემბრის ბოლოსათვის კოდექსის გამარტივებული ვარიანტი წიგნად გამოვა და ის დაახლოებით 3 ათას ეგზემპლიარად დაიბეჭდება. პალატაში განმარტავენ, რომ წიგნი დაინტერესებულ წრეებში უსასყიდლოდ გავრცელდება. ამერიკის სავაჭრო პალატა საბაჟო გამშვებ პუნქტებზე დაკვირვებას იწყებს, რათა პუნქტებზე საბაჟო მომსახურების დრო განსაზღვრონ. ამის შესახებ ამერიკის სავაჭრო პალატის ექსპერტმა გიორგ პერტაიამ განაცხადა. მისი განმარტებით, ეს კეთდება იმისათვის, რომ შემდგომში შედარება გაკეთდეს ახალი "საბაჟო კოდექსის" მიხედვით, თუ დროის რა პერიოდს იგებს თავად მეწარმე. "ახალი "საბაჟო კოდექსი" სრული დატვირთვით 1 იანვრიდან ამოქმედდება და როდესაც დღევანდელი სურათი გვეცოდინება, მას შემდგომ პროცესებთან შევადარებთ და დავადგენთ, ახალმა კოდექსმა საბაჟო მომსახურება გაამარტივა თუ არა," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" პერტაიამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## შაორჰესი 15 ოქტომბრიდან სისტემას 38.4 მგვტ ენერგიას მიაწვდის

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, აჩიკო ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, 15 ოქტომბერს "შაორჰესის" გეგმური რეაბილიტაცია დასრულდება და ის სისტემას 38.4 მგვტ ენერგიას მიაწვდის. "წელს "შაორჰეჰის" გვირავის რეაბილიტაცია მომდინარეობდა, რომელიც 15 ოქტომბრისათვის დასრულდება. სამინისტრომ ამ მიმართულებით 7 მილიონ 169 ათასი გამოყო და თანხა სრულად ათვისებულია," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" ნიკოლაიშვილმა. "ძევრულჰესის" რეაბილიტაცია უკვე დასრულებულია და ის სისტემას 80 მგვტ ენერგიას აწვდის. 2006 წელს ენერგეტიკის სამინისტრომ ჰესის რეაბილიტაციისათვის 10 მილიონ 540 ათასი გამოყო. ნიკოლაიშვილის თქმით, "ძევრულჰესიცა" და "შაორჰესიც" უკვე გაყიდულია, და მომავალ წელს მისი რეაბილიტაცია გაგრძელდება თუ არა, ეს თავად ინვესტორზე იქნება დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ "ძევრულჰესიცა" და "შაოჰესიც" ჩეხურმა კომპანია "ენერგოპტომ" შეიძინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საფონდო ბირჟაზე 108,711.68 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამართულ რიგით 70(655)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი 15 კომპანიის აქციებიდან და 1 კომპანიის ობლიგაციებიდან გარიგება დაიდო 5 კომპანიის აქციებზე - ავიასერვისი, საქტელეფონმშენი, ტრანსმშენი, საქართველოს ბანკი და საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია. გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 44, ჯამური მოცულობა - 30,621 ფასიანი ქაღალდი, ჯამურმა ღირებულებამ კი 108,711.68 ლარი შეადგინა. განაცხადები ყიდვა-გაყიდვაზე წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, შემდეგი ემიტენტების: ბეჭვდითი სიტყვის კომბინატის, გაერთიანებული ქართული ბანკის, ამალთეას, თელასის, თბილაბრეშუმი-ცისარტყელას, სატვირთო სახმელეთო ტრანსპორტის, საქართველოს ბანკის (ობლიგაციები), საქტრანსპროექტის, საქწყალპროექტის, ყაზბეგისა და ჩარხმშენებელის ფასიან ქაღალდებზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლუკოილმა მაკედონიასთან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო

ნავთობკომპანია "ლუკოილმა" მაკედონიაში პირველი ავტოგასამართი სადგური გახსნა. კომპანიისა და მაკედონიის მთავრობის მიერ გაფორმებული მემორანდუმით, რომელიც მაკედონიის ნავთობპროდუქტით უზრუნველყოფის სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს, 4 წლის განმავლობაში 40-მდე ავტოგასამართი სადგური დამონტაჟდება.

ავტოგასამართი სადგურები დაკმაყოფილდება ბულგარეთსა და რუმინეთში მდებარე "ლუკოილის" ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მიერ წარმოებული ნავთობპროდუქტებით. მოგვიანებით კი თანამშრომლობა სხვა ფორმითაც განხორციელდება. "ლუკოილმა" და მაკედონიის მთავრობამ თანამშრომლობის მემორანდუმი 2005 წლის ივნისში გააფორმა. "ლუკოილი" მაკედონიის ტერიტორიაზე საქმიანობას შვილობილი საწარმო "LUKOIL-მაკედონია"-ს მეშვეობით განახორციელებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ახალი საბაჟო ტარიფები და მაინც უკმაყოფილო მოსახლეობა

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*მოლოდინი იმისა, რომ საბაჟო კანონში შესული ცვლილებები მოსახლეობას წაადგებოდა, არ გამართლდა. ხალხი უკმაყოფილებას ვერ მალავს და პასუხს მებაჟეებისგან ითხოვს. ეს უკანასკნელნი კი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ პარლამენტმა საბაჟო ტარიფებში ცვლილებები სწორედ რიგითი მოქალაქეების სასარგებლოდ და ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შეიტანა.*

ლაგოდეხელი ჯუმბერ კერესელიძე აზერბაიჯანში ყოველდღე დადის. მას მეზობელი რესპუბლიკიდან კვების პროდუქტები შემოაქვს. **"თითქმის ყოველდღე დავდივარ აზერბაიჯანში. მომაქვს მაკარონი, პომიდორი, კარტოფილი - ისეთი პროდუქტები, რაც იქ, საქართველოსთან შედარებით, გაცილებით იაფია. ვცდილობთ, სახლში ზამთრისთვის ცოტაოდენი მარაგი გვქონდეს. კვების პროდუქტის რაოდენობა კი 5 კგ.-ს არ უნდა აღემატებოდეს. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ტარიფებში შესული ცვლილებები უფრო მეტი რაოდენობის პროდუქტის შემოტანის ნებას მოგვცემდა, მაგრამ ასე არ მოხდა. არადა, საქართველოში ყველაფერი ძალიან ძვირია, გვიჭირს ცხოვრება. ვცდილობთ, აზერბაიჯანიდან იაფად შემოტანილი პროდუქტებით ვიარსებოთ. თუმცა სახელმწიფო ამის შესაძლებლობასაც არ გვაძლევს,"** - ამბობს ჯუმბერ კერესელიძე.

იმედგაცრუებულმა მოსახლეობამ უკმაყოფილება მებაჟეებთან უკვე გამოხატა, თუმცა საბაჟო "ლაგოდეხის" უფროსის გივი სხილაძის თქმით, ამჯერად დაპირისპირებამდე საქმე არ მისულა. იგი საბაჟო ტარიფში არსებულ შეღავათებს მაინც მნიშვნელოვნად მიიჩნევს. **"იყო მცირეოდენი უკმაყოფილება. ალბათ, იქიდან გამომდინარე, რომ უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს ელოდნენ. შეღავათი მხოლოდ იმ ინდმეწარმეებზე გავრცელდა, რომლებიც საქონელს ტერმინალში აფორმებენ და საბაჟო გადასახადს იხდიან, დღეს საბაჟო გადასახადი უმრავლეს საქონელზე უკვე ნული პროცენტია. არის კიდევ 5-პროცენტიანი და 12-პროცენტიანი. თუ აქამდე მაქსიმალური თანხა 30 პროცენტი იყო, ახლა თორმეტია. როგორც ხედავთ, გარკვეულწილად, შემცირება მოხდა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია,"** - აცხადებს გივი სხილაძე და განმარტავს, რომ კვების პროდუქტებზე საბაჟო გადასახადის უცვლელად დატოვება, შიდა ბაზრის დაცვის მიზნით, აუცილებელიც კი იყო. **"კვების პროდუქტების უმრავლესობაზე - ეს არის ხილი თუ ბოსტნეული - შენარჩუნებულია საბაჟო გადასახადის 12 პროცენტი. ეს იმით არის განპირობებული, რომ მოხდეს შიდა ბაზრის დაცვა და მოსახლეობამ საკუთარი პროდუქტის რეალიზაცია ადვილად მოახდინოს. სწორედ ამიტომ მოხდა კვების პროდუქტებზე ტარიფის უცვლელად შენარჩუნება,"** - აცხადებს გივი სხილაძე.

მოსახლეობის ნიჰილისტური დამოკიდებულების მიუხედავად, საბაჟო "ლაგოდეხის" უფროსი გივი სხილაძე ლაგოდეხელებს მაინც აიმედებს და ამბობს, რომ საბაჟო ტარიფებში შესული ცვლილებების შედეგებს რიგითი მოქალაქეებიც მალე იგრძნობენ.

# ინფლაცია - გამოწვევა საფრთხედ არ უნდა გადაიქცეს!

პირველი გვერდიდან

განასხვავებენ ინფლაციის 3 ტიპს:

მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაცია - ანუ ინფლაცია დაბალი უმუშევრობისა და საქონელზე მაღალი მოთხოვნის პირობებში; ჩვენთან მაღალი უმუშევრობის და, აქედან გამომდინარე, დაბალი მოთხოვნის გამო ამ ტიპის ინფლაცია არ გვხვდება.

ხარჯების ზრდით განპირობებული ინფლაცია - რასაც დღევანდელ პირობებში "მიწოდების შოკის" ინფლაციასაც უწოდებენ, რაც ნავთობის მიწოდების მკვეთრი შემცირებითაა გამოწვეული;

"ჩაშენებული ინფლაცია" - გამოწვეული თანმდევი მოლოდინით, რაც ხშირად უკავშირდება "ფასი/ხელფასის ინფლაციურ სპირალს", ვინაიდან ის აიძულებს დასაქმებულებს, ხელფასები მოითხოვონ ფასებზე მეტი და შემდეგ მეწარმეებს აიძულებს, მომხმარებლებს უკვე გაძვირებული პროდუქცია შესთავაზონ, განვითარება მიდის, როგორც "მოჯადოებულ წრეში". ასეთ ინფლაციაზე აისახება გასულ პერიოდში მომხდარი მოვლენები. ზოგიერთი თანამედროვე ეკონომისტი, მაგალითად, ამერიკელი რობერტ ჯ. გორდონი მას "ნაბახუსევის ინფლაციასაც" უწოდებს.




საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსის მატება გასული ზაფხულის მთავარ ეკონომიკურ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, თუ 2006 წლის აპრილამდე თორმეტი თვის განმავლობაში, ინფლაციის მაჩვენებელი იყო 6%, მიმდინარე წლის ივნისის ბოლოსთვის იგი გაიზარდა 11,4%-მდე, ხოლო ივლისში - 14,5%-იან ნიშნულს მიაღწია, რაც სავალუტო ფონდის 11-18 აგვისტოს მისიის განცხადებაშიც აღინიშნა. ბატონი ვაკერმან-ლინის სსფ-ს მისიის 18 აგვისტოს განცხადებაში ვკითხულობთ, რომ ამ ნეგატიური მოვლენის მიზეზია ჭარბი ფულის მიწოდებით გამოწვეული მოთხოვნის ზრდა, რაც წარმოქმნის ინფლაციას. ეს კი, პრაქტიკულად, ნიშნავს ქვეყანაში დაუბალანსებელი მონეტარული პოლიტიკის არსებობას. ჩვენი აზრით, საქართველოში ინფლაციას სამი ძირითადი არამონეტარული (ეგზოგენური) მიზეზი უფრო განაპირობებდა:

1) 2004-2005 წლების მთავრობის ეკონომიკური რეფორმების პროგრამის წარმატებით განხორციელებამ უზრუნველყო მყარი ეკონომიკური ზრდა. უკვე 2004 წლიდან საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის დაგეგმილთან შედარებით მაღალმა მაჩვენებელმა მხარჯავ დაწესებულებებს დამატებითი ხარჯების გაწევის საშუალება მისცა, ამან კი ფისკალურ სფეროში გარკვეული პრობლემები წარმოშვა. ბიუჯეტის სტაბილურად შესრულების და გადაჭარბების ფონზე დღის წესრიგში დადგა ხარჯების მონიტორინგის ამოცანის გადაწყვეტა. 2005 წლიდან ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო სახელმწიფო ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის ამოცანის შესრულება, მაგრამ ნეგატიური მაკროეკონომიკური პროცესები უკვე განვითარდა.

ინფლაციური პროცესები, მნიშვნელოვანწილად, მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის და უძრავი ქონების ფასების ზრდამაც განაპირობა.

2) XXI საუკუნეში პირველად, 2004 წლის ზაფხულში ნიუ-იორკის საფონდო და ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟებზე (IPE) დაფიქსირდა ნავთობის სარეკორდო ფასი - ერთი ბარელი 56 აშშ დოლარი. ანალოგიურად, ნავთობის ფასების მკვეთრი ზრდა წელსაც დაიწყო და ბარელზე თითქმის 70-75 დოლარამდე ავიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ 1998 წლის ბოლოს ფასი შეადგენდა 9 აშშ დოლარს, მაშინ ეს შედეგი ფენომენალურად შეძლება ჩაითვალოს. ამ პროცესს ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა: პირველი - განვითარებული ქვეყნების, აგრეთვე, ინდოეთის და ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში შესვლამ გაზარდა იმპორტიორების მხრივ ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნა; მეორე - ექსპორტიორმა ქვეყნებმა მოილაპარაკეს ნავთობის მოპოვების შემცირების შესახებ; მესამე - ალბათ, გადამწყვეტი ფაქტორია ახლო აღმოსავლეთსა და რუსეთის სამხრეთში დაძაბულობის ზრდა. სხვათა შორის, სწორედ უკანასკნელ წლებში პოლიტიკური დაპირისპირების გამწვავებაა ნავთობის ფასების აწევის ძირითადი მიზეზი. კერძოდ, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის - "ოპეკ"-ის წევრთა უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებია, ეს ორგანიზაცია კი აწარმოებს მსოფლიოში ექსპორტირებული ნავთობის თითქმის 40%-ს. საინტერესოა, რომ ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ვითარების გამწვავება ემთხვევა ნავთობპროდუქტების ფასების ზრდის პიკურ მონაცემებს. კერძოდ, უკანასკნელ ათწლეულებში პირველი ნახტომი ფასებში მოხდა 1973 წლის 17 ოქტომბერს: "ოპეკ"-ის წევრი ქვეყნების ნავთობის მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დასავლეთის ქვეყნების ბლოკადის შესახებ. 19-20 ოქტომბერს შემოღებული იქნა ემბარგო აშშ-ში ნავთობის გაგზავნაზე, 23 ოქტომბერს - ჰოლანდიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ამავდროულად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ნავთობის მთლიანი მოპოვების 25%-ით შემცირების შესახებ. ამის შედეგად ფასი 1973 წლის 22-დან 24 დეკემბრამდე გაიზარდა 5,12-დან 11,65 აშშ დოლარამდე ბარელზე. მაშინ, როცა ამავე წლის სექტემბერში ბარელი ნავთობი მხოლოდ 2,9 აშშ დოლარი ღირდა. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა 1990 წელსაც, როდესაც ოპერაცია "ქარიშხალი უდაბნოში" მიმდინარეობისას ფასი სარეკორდო დონეზე - 35 აშშ დოლარზე დაფიქსირდა. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა 2006 წლის ზაფხულის ბოლოსაც ისრაელ-ლიბანის კონფლიქტის ფონზე. ისევე, როგორც 2004 წელს, წელსაც ამ ფაქტორმა ინფლაციის ზრდას შეუწყო ხელი.

2004 წლის ბოლოს გამოქვეყნდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2005 წლის 1 იანვრიდან. ახალი კოდექსით გათვალისწინებული იყო აქციზის გადასახადების (სიგარეტი, ნავთობპროდუქტები) მატება, რამაც მეწარმეთა შორის წარმოქმნა ე.წ "ინფლაციური მოლოდინი". 2006 წელს რუსეთის მიერ გაზის გაძვირების გამო ელექტროენერგიის გაძვირებამ სამომხმარებლო საქონელი გარკვეულწილად გააძვირა. ხოლო 2004 წლისაგან განსხვავებით, საკანონმდებლო ცვლილებებს - "საბაჟო ტარიფის შესახებ" კანონით 1 სექტემბრიდან მოხდა საბაჟო ტარიფების განაკვეთების რაოდენობის (16-დან 3-მდე) და დონის შემცირება (მხოლოდ 0%, 5% და 12%-იანი განაკვეთებია), სატარიფო ხაზების თითქმის 90%-ზე გაუქმდა საბაჟო გადასახადი, მოხდა აქციზების მნიშვნელოვანი შემცირება 2006 წლის მარტიდან - იმპორტის მნიშვნელოვანი გაიაფება უნდა გამოეწვია. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ინფლაციის ზრდამ მაინც საშიში ტენდენციის ხასიათი შეიძინა.

3) ჩვენი აზრით, სახეზეა ახალი არამონეტარული (ეგზოგენური) ფაქტორი - უძრავი ქონების ფასების მკვეთრი ზრდა, რაც მეორადი საფონდო ბაზრის არასაკმარისი განვითარების გამო (სადაც, წესით, ასეთ დროს უნდა მიიმართებოდეს თავისუფალი ფულადი ნაკადები) იწვევს დაუსაქონლებელი ფულადი მასის "გადახურებული" უძრავი ქონებისკენ მიმართვას, რაზედაც უკანასკნელ სამ წელში ფასები თითქმის გაათმაგდა.

მეორადი საფონდო ბაზრის განუვითარებლობას საქართველოში ორი ძირითადი მიზეზი განაპირობებს: 1) პრივატიზების პროცესში საფონდო ბაზრის უგულებელყოფა და 2) პრივატიზების ინსტიტუციონალური მოუწესრიგებლობა. სახელმწიფო აქციების ფასიანი ქაღალდების ბაზრის საშუალებით ყიდვა-გაყიდვა ხომ განსახელმწიფოებრიობის ყველაზე გამჭვირვალე ფორმაა. მაგალითად, პოლონეთში მეორადი საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია თითქმის ერთნახევარჯერ აღემატება მთლიან შიდა პროდუქტს.

ე.წ. "აგრესიული პრივატიზების" ეტაპი მსხვილი საწარმოების განსახელმწიფოებრიობის დასრულებასთან ერთად დამთავრდა. ახლა საჭიროა თვისებრივად ახალი, "მასობრივი პრივატიზების" ეტაპის დაწყება, რაც ინსტიტუციონალურ ცვლილებებს მოითხოვს. ამჟამად დარჩენილია 1490 წვრილი და არარენტაბელური, აქედან გამომდინარე, პრივატიზების თვალსაზრისით ნაკლებადმიმზიდველი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმო. აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოების მხოლოდ 30%-მდე რიცხავს ბიუჯეტში დივიდენდებს. ამ სახელმწიფო საწარმოების შენარჩუნების პირობებში პრობლემატურია სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" არსებული ფორმით შენარჩუნებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ პრივატიზების განხორციელების საკითხი.

"პოსტ-კომუნისტური, გარდამავალი" ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომლებშიც დაიწყო ე.წ. "მასობრივი პრივატიზება", სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების მართვა და პრივატიზება გადავიდა წმინდა საბაზრო პრინციპებით მოქმედი სტრუქტურების ხელში. ამ თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ მართვისა და პრივატიზების პროცესის განხორციელება ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან უნდა გადაეცეს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. პრივატიზების პროცესი, თეორიული თვალსაზრისით, წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვას ანუ სამეურნეო ოპერაციას. ამიტომ სამინისტროს, როგორც აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ, სამეურნეო ფუნქციის განხორციელება არსებულ კანონმდებლობასაც ეწინააღმდეგება.

უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს 100%-იანი წილით კერძო სამართლის იურიდიული პირი - ჰოლდინგი, რომლის საწესდებო კაპიტალი სახელმწიფოს კუთვნილი აქციათა პაკეტებისგან შედგება. მისი შემოსავალი იქნება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოთა დივიდენდები და პრივატიზების შედეგად მიღებული თანხები (ამჟამად არსებული წესით ისინი ბიუჯეტში ირიცხება). მიღებული სახსრები მთლიანად გამოყენებული იქნება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოთა რესტრუქტურიზებისა და ინვესტირებისათვის, რაც მოამზადებს პირობებს მათი უფრო მომგებიანად პრივატიზებისთვის. ამ მიზნით 2007 წლის პირველ ნახევარში (როგორც მოითხოვს "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი) ყველა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული შპს უნდა გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად და დაფუძნდეს ზემოაღნიშნული სახელმწიფო ჰოლდინგი, რომლის სამეთვალყურეო საბჭო ეკონომიკური უწყებების ხელმძღვანელი პირებისგან ჩამოყალიბდება.

ამ გზით მოხდება უძრავი ქონების ბაზრიდან ფულადი ნაკადების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მიმართვა, რაც შეამცირებს უძრავი ქონების ფასებს და, შესაბამისად, მოხსნის "ინფლაციური სპირალის" წარმოქმნის საფრთხეს.

## ოპეკი ნავთობის მოპოვების კვოტას უცვლელს ტოვებს

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის - ოპეკის ხელმძღვანელთა მორიგი შეხვედრა-კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის ძირითადი თემა უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი კომპანიების მიერ ნავთობის ყოველდღიური მოპოვების კვოტის ზღვრული ოდენობის დადგენა იყო. როგორც ალჟირისა და კატარის ენერგეტიკის მინისტრებმა შაკიბ ხალილმა და აბდულა ბენ ხამად ალ-ატიიამ შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, ოპეკმა ნავთობის მოპოვების კვოტები უცვლელი დატოვა. ოპეკის ქვეყნების მიერ ნავთობის მოპოვების ყოველდღიური კვოტა 28 მლნ ბარელს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## McDonald's-ი ერთადერთია

მცირე აზიის სასამართლომ სწრაფი კვების რესტორნების ამერიკული ქსელის McDonalds-ის მიერ ადგილობრივი სასაუზმე McCurry-ის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი დააკმაყოფილა. ამრიკული ბრენდი ადგილობრივ სასაუზმეს პლაგიატობაში ადანაშაულებდა. მოსამართლის გადაწყვეტილების თანახმად კი, McCurry-ის აბრევიატურაში "MC"-სიმბოლოს შეცვლა მოუწევს. შეგახსენებთ, რომ McCurry-ის სასადილოები მომხმარებლებს, ძირითადად, ინდური სამზარეულოს კერძებს სთავაზობს.

ამერიკული რესტორნების ქსელის ადვოკატმა შეძლო დაერწმუნებინა მოსამართლე იმაში, რომ McCurry-ის სასადილოებს მცირე აზიელი მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავდა. "McCurry-ის სასადილოები, რომელიც მომხმარებელს ქათმისა და თევზისგან დამზადებული კერძებით მასპინძლობს, ჩვენ კლიენტურას გვართმევს. მისი სახელწოდების პირველი ორი ასოს წყალობით მომხმარებელი ადვილად შედის შეცდომაში. მათ ჰგონიათ, რომ ეს სასადილოები McDonalds-ის ახალი ფილიალებია," - აცხადებს ადვოკატი.

ისეთ მსხვილ კომპანიებსა და გახმაურებულ ბრენდებს, როგორიც არის, მაგალითად, McDonalds-ი, საკუთარი მარკის დაცვისათვის ბრძოლა ძალიან ხშირად უწევთ. თავიანთი ექსკლუზიური უფლებების დასაცავად კომპანიები არც დროს და არც ფულს არ იშურებენ. უნდა აღინიშნოს, რომ McDonalds-სა და McCurry-ს შორის სასამართლო პროცესები ხუთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ჯერ საბოლოოდ არც დასრულებულა. მთავარი მოთხოვნა, რომელსაც McDonalds-ი McCurry-ის უყენებს "Mc"-სიმბოლოს მოხსნაა, რომლის შესრულებასაც აღნიშნული რესტორნის მესვეურები არ თანხმდებიან. McCurry-ის ადვოკატები სასამართლოს ვერდიქტს აპროტესტებენ და აპელაციის შეტანას აპირებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ აბრევიატურა "Mc" სრული სახელწოდების - Malaysian Chicken Curry-ის შემოკლებული ვარიანტია.

## მსოფლიო ეკონომიკა საფრთხეშია

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მსოფლიო ეკონომიკის მთავარი სარისკო ფაქტორები დაასახელა. ფონდის ხელმძღვანელი როდრიგო დე რატო აღნიშნავს, რომ მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპის რისკი გაიზარდა ამ უწყების მიერ ნახევარი წლის წინ გამოქვეყნებული ფონდის ეკონომიკური პროგნოზის შემდეგ. მისივე თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებს ყველაზე მეტად სავაჭრო და საინვესტიციო გადაკვეთები, პროტექციონიზმი და ენერგომატარებლების კატასტროფული გაძვირება აშფოთებთ.

მსოფლიო ეკონომიკის შემაფერხებელ ფაქტორებს შორისაა ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე საცხოვრებელი სახლების გაიაფება და მოსალოდნელი ინფლაცია, რომელიც ცენტრალურ ბანკებს საპროცენტო ფსონების გაზრდას აიძულებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა შეფასებების თანახმად, ნავთობპროდუქტების ბაზარზე შექმნილი სიტუაცია მოსალოდნელი ინფლაციის რისკს კიდევ უფრო ზრდის, რაც მსოფლიო ეკონომიკისთვის ერთ-ერთ ყველაზე არასასურველ ფაქტორად მოიაზრება. მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო ფონდი მსოფლიო ეკონომიკის ექსპანსიის გაგრძელებას 2007 წლამდე ვარაუდობს, მაინც არის საფრთხე იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპები უახლოეს მომავალში დაღმავალი გზით ამოქმედდება. სავალუტო ფონდის მიერ გავრცელებული უახლესი ინფორმაციით, მიმდინარე წელს მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 5,1%-ს შეადგენს.

# ბიოქიმიური მონსტრი

პირველი გვერდიდან











### საღებავი და ასპირინი

კონცერნ Bayer-ის ისტორია წამლების კი არა, საღებავების გამოშვებით დაიწყო. 1863 წელს ორმა გერმანელმა, საღებავებით მოვაჭრე ფრიდრიხ ბაიერმა და ოსტატმამღებავმა იოჰან ფრიდრიხ ვესტკოტმა ქალაქ ბარმნეში (ამჟამად ვუპერტალში) სინთეტიკური საღებავების მწარმოებელი პატარა ფაბრიკა გახსნეს. საღებავების ბიზნესისათვის მშვენიერი დრო იყო შერჩეული: ახალი ტექნოლოგიები ერთობ იაფი პროდუქციის გამოშვების საშუალებას იძლეოდა. ამას სწორი მენეჯმენტი დაემატა და მალე ფირმის საქმეები მშვენივრად წავიდა. 1881 წელს ბაიერის და ვესტკოტის მემკვიდრეებმა კომპანიას, რომელშიც უკვე 300-მდე ადამიანი მუშაობდა, Farbenfabriken vorm. Friedr. Bayer & Co დაარქვეს და მისი აქციები ბირჟაზე გაიტანეს.

კომპანია სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა. 1876 წელს Bayer-ის შტაბ-ბინა კიოლნის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ლევერკუზენში გადაბარგდა, ძველ ადგილას კი კვლევითი ცენტრი დარჩა. პირველი მსოფლიო ომის წინ Bayer-ის საღებავები თითქმის მთელს მსოფლიოში იყიდებოდა. თანაც, კომპანია უცხოური ფირმების აქციებს ყიდულობდა და შვილობილ კომპანიებს ქმნიდა.

ამ პერიოდში კომპანიის ერთმა მეტად მნიშვნელოვანმა გამოგონებამ მისი ყველა ადრინდელი მიღწევა დაჩრდილა. თუმცა, რომ არა საპატენტო კანონმდებლობის გონივრული გამოყენება და კარგი რეკლამა, მარტო გამოგონება დიდ მოგებას ვერ მოიტანდა. საუბარია ასპირინზე, ანუ აცეტილსალიცილის მჟავაზე. საინტერესო ის გახლავთ, რომ ასპირინი საუკუნეზე მეტხანს მხოლოდ Bayer-ს "აჭმევდა", მაშინ, როცა აცეტილსალიცილის მჟავის გამოშვება ყველას შეეძლო.

1763 წელს ერთმა ინგლისელმა მღვდელმა შენიშნა, რომ ტირიფის ფესვს ანთების და მაღალი ტემპერატურის საწინააღმდეგო ეფექტი ჰქონდა. მოგვიანებით მეცნიერებმა მისგან სალიცინი, კიდევ უფრო გვიან კი აცეტილსალიცის მჟავა გამოყვეს და ხელოვნურადაც მიიღეს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ძვირი სალიცინისაგან განსხვავებით, იაფი აცეტილსალიცილის მჟავა საჭმლის მომნელებელ სისტემას დიდ ზიანს აყენებდა.

გამოსავალს Bayer-მა, უფრო სწორად კი, მისმა თანამშრომელმა ფელიქს ჰოფმანმა მიაგნო, რომლის მამა რევმატიული ტკივილებისაგან იტანჯებოდა, მაგრამ აცეტილსალიცილის მჟავის მიღება კუჭის პრობლემების გამო არ შეეძლო. 1897 წელს მან შეძლო უფერული კრისტალების სინთეზირება, რომელსაც შემდეგ ასპირინი უწოდეს და დაპატენტება ისურვეს, მაგრამ გერმანული კანონები ბუნებრივ და ქიმიურ ნივთიერებებს არ აპატენტებდა. ცხადი იყო, რომ ფორმულის

საიდუმლოდ შენახვა არ მოხერხდებოდა და ასპირინის გამოშვება ყველას შეეძლო. ასე რომ, ბაზრის ათვისება დანერგვის სისწრაფეზე, სწორ სარეკლამო კამპანიაზე, სავაჭრო მარკის შერჩევასა და მისი ტექნოლოგიის დაპატენტებაზე, რასაც არავინ კრძალავდა, იყო დამოკიდებული.

ამ ამოცანების გადაჭრა კომპანიამ წარმატებით შეძლო. მიაკვლიეს ყველა შესაძლებლიდან გამორჩეულად ეფექტურ ტექნოლოგიას და მისი დაპატენტებით პირველობა გარანტირებული იყო. როგორც არ უნდა დაემზადებინათ ასპირინი კონკურენტებს, მაინც უფრო ძვირი გამოსდიოდათ. ამასთან, ახალი საქონლის მიერ ბაზრის დასაპყრობად Bayer-მა იმ დროისათვის ახალ მარკეტინგულ სვლას მიმართა და თავისი პროდუქციის კატალოგის, რომელშიც ძირითადი ადგილი ასპირინს დაეთმო, დიდი ტირაჟით დასაბეჭდად ფული არ დაიშურა.

1899 წელს ბაზარზე ასპირინის გამოჩენას ნამდვილი ფურორი მოჰყვა. ყველა ექიმი პაციენტს ახალ წამალს უწერდა. 1911 წლიდან იგი უკვე რეცეპტის გარეშე გაიცემოდა და ასპირინი ყველაზე გაყიდვად წამლად იქცა. ძნელი სათქმელია, რომ არა ასპირინი, შეძლებდა თუ არა Bayer-ი, ათასგვარ სიძნელეს გამკლავებოდა.

### ომის კანონებით

ასპირინის წყალობით 1913 წელს Bayer-ი ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული ქიმიური კომპანია გახდა, რომელშიც 10 ათასი ადამიანი მუშაობდა. ასპირინის გარდა, Bayer-ი სხვა წამლებს, ქიმიკატებს, სინთეტიკურ კაუჩუკს და, რა თქმა უნდა, საღებავს უშვებდა.

პირველი უსიამოვნება პირველი მსოფლიო ომი გახლდათ, რომელმაც Bayer-ი უცხოურ ბაზარს მოწყვიტა. დროებით კომპანია ასაფეთქებელი მასალების და მომწამლავი გაზების წარმოებაზე გადაერთო. ამან Bayer-ის იმიჯზე ცუდი გავლენა მოახდინა: მოკავშირეებს არ დავიწყებიათ, ვისი გაზით იწამლებოდნენ მათი ჯარისკაცები. გერმანიაზე თავსმოხვეულ ვერსალის ხელშეკრულებას კი ის მოჰყვა, რომ 1923 წელს კომპანიამ აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდა

ვერ შეძლო, შემდეგ კი გერმანიის ეკონომიკა დიდმა ამერიკულმა კრიზისმა დააზარალა.

1929 წელს Bayer-ის შტატი ოთხჯერ შემცირდა, თუმცა წარმოება არ გაჩერებულა. ასპირინის გარდა, კომპანია ჩვეულმა მოქნილობამ იხსნა. ჯერ კიდევ 1925 წელს Bayer-ი მიხვდა, რომ მარტო ვერ გადარჩებოდა და სხვა ფირმებთან, მათ შორის, ყოფილ კონკურენტებთან - BASF-თან და Hoechst-თან ერთად ქიმიურ concern I.G.Farbenindu-strie AG-ში გაერთიანდა. შედეგად, ომისაგან გალატაკებულ გერმანიაში მსოფლიოში სიდიდით მეოთხე კონცერნი შეიქმნა, რომელიც თავისი სფეროს ლიდერი იყო და, მართალია, 50-იან წლებამდე Bayer-ის სავაჭრო მარკა ბაზრიდან გაქრა, კონცერნის პროდუქციაზე მისი ლოგოტიპი შენარჩუნდა.

ცხადია, კომპანია კვლავინდებურად სიახლისაკენ ისწრაფვოდა. 30-იან წლებში მისმა თანამშრომელმა ოტო ბაიერმა, რომელსაც ფრიდრიხთან, გვარის დამთხვევის გარდა, არაფერი აკავშირებდა, სინთეტიკური რეზინის ახალი სახეობა პოლიურეთანი გამოიგონა, შემდეგ გერჰარდ დომაგკმა სულფანილამიდების ფარმაცევტულ ეფექტს მიაკვლია, რისთვისაც მას 1939 წელს ნობელის პრემია მიანიჭეს.

ამასობაში ევროპა ახალი ომის ქარ-ცეცხლში გაეხვა. ფაშისტური გერმანიის სამხედრო ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კონცერნი I.G.Farben, რომლის ხელმძღვანელობა ნიუნბერგის პროცესზე დამნაშავედ სცნეს, ხოლო კონცერნის ქონება 1945 წელს მოკავშირეების მიერ კონფისცირებულ იქნა. თუმცა, ოკუპანტებმა Bayer-ის პერსონალი და მენეჯმენტი შეინარჩუნეს, რადგან მისი პროდუქცია მთელს ევროპას სჭირდებოდა.

### მონსტრის დაბადება

1950 წელს I.G.Farben 12 კომპანიად დაიშალა, ერთი წლის შემდეგ რეანიმირებულ იქნა Bayer-ი. აღსანიშნავია, რომ კომპანიას უცხოური ფირმების აქციების შეძენის უფლება მისცეს, რომ დაკარგული მსოფლიო ბაზარი დაებრუნებინა. Bayer-ი პერსპექტიული დაფინანსების მისებური სტრატეგიის ერთგული დარჩა: უეჭველად მომგებიანი ასპირინის იმედად სულ უფრო მეტ ახალ წარმატებულ ექსპერიმენტს ახორციელებდა. მალე კომპანია არა მარტო

ფარმაცევტული სფეროს ლიდერი გახდა, არამედ ნავთობპროდუქტების, ფოტომასალების, ქიმიური პოლიმერების, სასოფლო-სამეურნეო და სხვა დანიშნულების ბიოქიმიური პროდუქციის წარმოებასაც წარმატებით ეწეოდა.

ბევრმა კონკურენტმა მსგავსი სტრატეგიის გამოყენება არაერთხელ სცადა, მაგრამ წარუმატებლად. Bayer-ი კი თანდათანობით ვითარდებოდა, ახალ სფეროებსა და ბაზრებს ითვისებდა და მძიმე პერიოდშიც კი პოზიციებს ინარჩუნებდა.

მხოლოდ 2001 წლის სკანდალმა ვერ ჩაიარა უკვალოდ. მას შემდეგ, რაც კომპანიის ახალმა წამალმა ლიპობაიმ ასზე მეტი პაციენტის სიკვდილი გამოიწვია, Bayer-მა ფარმაცევტული ბაზრიდან წასვლის შესახებ განაცხადა. ამას ხელი შეუწყო სფეროს ახალი ლიდერის Pfizer-ის გამოჩენამაც, რომელმაც სახელი ვიაგრათი გაითქვა.

თუმცა, როგორც გამოჩნდა, Bayer-ის ჩამოწერა ნაადრევი იყო. კომპანიამ, რომელმაც მილიარდამდე ზარალი განიცადა, რამდენიმე თვეში ყველა თავისი კონკურენტის Aventis-ის სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის 7,25 მილიარდ ევროდ შეძენით გააოცა. ამგვარად, Bayer-მა ტრანსგენური პროდუქტების ბაზრის დაპყრობა მოახერხა. 2002 წელს კი კომპანიის კუთვნილმა საფეხბურთო კლუბმა ლევერკუზენის "ბაიერმა" ისტორიაში უდიდესი წარმატება იზეიმა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა.

ორი წლის შემდეგ კი Bayer-ი ფარმაცევტულ ბაზარს დაუბრუნდა და განაცხადა, რომ ძირითად აქცენტს ევროპაში მოღვაწეობაზე გააკეთებდა. ცხადია, მომხმარებელთა სიახლეებით გაოცებაც არ დავიწყებია და მათი ნდობა კვლავ მალე მოიპოვა. წელს კი Bayer-მა თავის ისტორიაში უმსხვილესი გარიგება განახორციელა, ბერლინური კონკურენტი კომპანია Schering-ი 16,3 მილიარდ ევროდ შეიძინა, რითაც მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კონგლომერატი, ჭეშმარიტად ბიოქიმიური მონსტრი შეიქმნა.

## ზრდა აშშ-ს ბირჟაზე













გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა განაპირობა, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საინვესტიციო კომპანია Goldman Sachs-is, McDonald's-ის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიების აშშ-ს უმსხვილესი ქსელის Best Buy-ს აქციების ზრდა. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,42 პროცენტით, 11.444,38 პუნქტამდე გაიზარდა. 0,69 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.188,16 პუნქტი შეადგინა, ხოლო შ&P 500 Index-მა 0,45 პროცენტით, 1.305,34 პუნქტამდე მოიმატა.

## ოპეკის კალათის" ფასი 61 დოლარი/ბარელს ჩამოსცდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსების (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლების ტენდენცია კვლავ გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 64,08 დოლარი, Light-ის მარკის ნავთობი კი 65,25 დოლარი/ბარელი ღირდა.

შედეგად, პირველად უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასი 61 დოლარი/ბარელის ნიშნულს ჩამოსცდა და 60,89 დოლარი/ბარელი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

"ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ახლახან ვენაში დასრულებულ ოპეკის კონფერენციაზე, ნავთობის მოპოვების მოცულობის შენარჩუნების გარდა, გადაწყდა, რომ 2007 წლიდან კარტელის პრეზიდენტის მოვალეობა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს გადაეცემა. კერძოდ, მომავალი წლის დასაწყისიდან ოპეკს საემიროების ნავთობისა და მინერალური რესურსების მინისტრი მუჰამედ ზაენ ალ ჰალმი უხელმძღვანელებს, მისი მოადგილე, ანუ ალტერნატიული პრეზიდენტი კი ალჟირის ენერგეტიკისა და შახტების მინისტრი შაჰიბ ჰალილი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისათვის ოპეკს ნიგერიის ნავთობისა და გაზის მინისტრი ედმუნდ დაუკორი თავკაცობს.

## ძვირფასი ლითონების გაიაფება გრძელდება

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე კვლავ ფასის მცირე კლება დაფიქსირდა. შეგახსენებთ, რომ გუშინწინ ოქროს ღირებულება 600 დოლარი/უნციის ფსიქოლოგიურ ნიშნულს ჩამოსცდა, რამაც სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება განაპირობა. ამჯერად კი 1 უნცია ოქრო 597,3 დოლარამდე გაიაფდა, ვერცხლის ფასმა 11,24 დოლარი/უნციამდე მოიკლო, პლატინა 1200,6 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 316,05 დოლარი/უნციამდე გაიაფდა.

ექსპერტთა აზრით, ოქროსა და სხვა ძვირფას ლითონებზე ფასების კლება ნავთობის გაიაფებამ, ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის კიდევ ერთხელ გაზრდის მოლოდინმა, მსოფლიოში გეოპოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესების იმედმა და უახლოეს მომავალში ბაზარზე ოქროს მიწოდების გაზრდის მოლოდინმა განაპირობა.

## ინდოელებს Daewoo Electronics Corp-ის შეძენა სურთ

საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელმა უმსხვილესმა ინდურმა კომპანიამ Videocon Indusrties LTD-მ ამ სფეროს კორეის სიდიდით მესამე კომპანიის Daewoo Electronics Corp-ის შეძენის სურვილი გამოთქვა. ამასთან დაკავშირებით ინდურ და კორეულ მხარეებს შორის მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ Daewoo Electronics Corp-ის შეძენის საქმეში Videocon Indusrties LTD-ს ამერიკული საინვესტიციო ფონდის Ripplewood Holdings LLC-ის სახით ერთობ გავლენიანი და მდიდარი პარტნიორი ჰყავს. ამერიკელები და ინდოელები Daewoo Electronics-ში, რომლის წაგებამ გასულ წელს 94 მილიარდი ვონი (99,5 მილიონი დოლარი) შეადგინა, მზად არიან, 680 მილიარდი ვონი (709 მილიონი დოლარი) გადაიხადონ.

## ევროპის ყველაზე აკურატული ავიაკომპანიები

ახლახან ევროპაში ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, ბებერი კონტინენტის ყველაზე აკურატულ ავიაკომპანიად Tutkish Airlines-ი დაასახელეს, რომელიც ათასი გადაზიდული ჩემოდნიდან მხოლოდ 3-4-ს კარგავს. მეორეზე რუმინული Tarom-ი გავიდა, რომლის ანგარიშზე ათასი გადაზიდულიდან 7,5 დაკარგული ჩემოდანია, მესამე კი, ათასიდან დაკარგული 8,4 ჩემოდნით, შვეიცარიული Swissair-ი გახლავთ.

აღსანიშნავია, რომ მგზავრების გადაყვანის რაოდენობის მხრივ სფეროს ლიდერი ავიაკომპანიები British Airways-ი, Air France და Lufthansa ბარგის მოპყრობის მხრივ არცთუ აკურატულები აღმოჩნდნენ. როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ეს გიგანტი ავიაკომპანიები გადაზიდული ათასი ჩემოდნიდან 10-ს კარგავენ.

## ჩუღურეთის რაიონს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდება

13 სექტემბერს, 10 საათიდან 18 საათამდე ჩუღურეთის რაიონს ელექტრონერგიის მიწოდება დროებით შეუწყდება. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" თელასიდან აცნობეს. მათი ინფორმაციით, შესაძლო ავარიული გამორთვების თავიდან ასაცილებლად სს "თელასი" 13 სექტემბერს 35-კილოვოლტიანი ხაზების - "ვერა 1"-ისა და "ვერა 2"-ის ტრასის გაწმენდის სამუშაოებს განახორციელებს. კომპანია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების გასწვრივ მდებარე იმ ხეებს გადაჭრის, რომლებიც ხაზების გამართულ მუშაობას ხელს უშლის. დაგეგმილი სამუშაოების გამო 13 სექტემბრის დილის 10 სათიდან 18 საათამდე ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის უმეტეს ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება. ელექტრომომარაგება გაეთიშება რაიონის მოსახლეობასა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს: მე-2 სამშობიაროს, ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოს, მიხაილოვის საავადმყოფოს, კარდიოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტებს. ელექტროენერგიის დროებითი შეწყვეტის შესახებ "თელასმა" ყველა სამედიცინო დაწესებულება წინასწარ გააფრთხილა. საავადმყოფოები ელექტროენერგიას ავტონომიური წყაროებიდან მიიღებენ. ელექტროენერგია არ შეუწყდება მთაწმინდის რაიონს, რომელიც ჩუღურეთის მსგავსად "თეცი"-ს ქვესადგურიდან მარაგდება. "თელასი" მთაწმინდის მოსახლეობის ელექტრომომარაგებას სხვა ქვესადგურებიდან განახორციელებს. ჩუღურეთის რაიონის ალტერნატიული კვებით უზრუნველყოფა კი ტექნიკური მიზეზის გამო ვერ ხერხდება. დაგეგმილი სამუშაოების ოპერატიულად დასრულების მიზნით "თელასის" ყველა ტექნიკური ჯგუფი გაძლიერებულ რეჟიმში იმუშავებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს ბიუჯეტმა 11 სექტემბერს 3,217 მლნ ლარის ხარჯი დააფინანსა

ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 11 სექტემბერს 3,217 მლნ ლარის ხარჯი დააფინანსა. ფინანსთა სამინიტროს ინფორმაციით, მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებამ 13,7 ათასი ლარი შეადგინა, სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა პროგრამული ხარჯების დასაფინანსებლად 11,5 ათასი ლარი მიიღო. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის გადარიცხულმა დევნილთა შენახვის ხარჯებმა 4,8 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო ორგანიზაციების სუბსიდიების, სუბვენციებისა და მიმდინარე ტრანსფერების ხარჯები 609,5 ათასი ლარით განისაზღვრა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მივლინების, სხვა საქონლისა და მომსახურების, კაპიტალურმა ხარჯებმა 2,482 მლნ ლარი შეადგინა. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელ საინვესტიციო პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები 51,9 ათასი ლარით განისაზღვრა. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ხარჯებმა 43,8 ათასი ლარი შეადგინა. **ჯიბისი**

## HP-იმ საქართველოში კომპანია "იუ-ჯი-თი" წარმატებულ პარტნიორად აღიარა

კორპორაცია HP-ის ფინანსური შედეგებით, HP-ის PSG პროდუქტების მიმართულებით იუ-ჯი-თი ყველაზე წარმატებულ პარტნიორად აღიარეს საქართველოში, - ამის შესახებ ინფორმაცია იუ-ჯი-თის პრესცენტრმა გაავრცელა. პრესცენტრის ინფორმაციით, HP-ის RMC-ის ჯგუფში შემავალი ქვეყნებიდან, 6 თვის ფინანსური მაჩვენებლის მიხედვით, საქართველომ წელს პირველად, ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი - 47% აჩვენა და მეორე ადგილზე მყოფ ბელორუსს (43%) გაუსწრო. საპარტნიორო შეხვედრის ფარგლებში, რომელიც ტუნისში, ჰამამეტში ჩატარდა, იუ-ჯი-თის ასევე გადაეცა პრიზი HP-სგან საქართველოში კომპლექსური პროექტების წარმატებით განხორციელებისათვის. ღონისძიებას ესწრებოდნენ HP-ის პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები RMC-ის ჯგუფში შემავალი ქვეყნებიდან: საქართველო, მონღოლეთი, ბელორუსი, უზბეკეთი და სომხეთი. **ჯიბისი**

## ბორჯომი-თბილისის სარკინიგზო ხაზზე თანამედროვე სტანდარტების სამგზავრო მატარებელი იმოძრავებს

20 ნოემბრიდან ბორჯომი-თბილისის სარკინიგზო ხაზზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი სამგზავრო მატარებელი იმოძრავებს. როგორც ს/ს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ განახლებული მატარებლის პროექტის პრეზენტაციაზე განაცხადა, მასში პირველად საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიის რეგიონში ფოტოელემენტზე დამონტაჟებული კარები და გაუმჯობესებული კონდიცირების სისტემა იქნება, რისი მეშვეობითაც ჰაერის ცირკულაცია გაჩარებულ მატარებელშიც განხორციელდება. "მატარებელი საკმაოდ სწრაფად, 130 კმ/სთ-ში იმოძრავებს და მგზავრობის ღირებულება მხოლოდ 20 ლარი იქნება," - განაცხადა ეზუგბაიამ. მატარებლის შეკეთებაზე ს/ს "ელექტროვაგონშემკეთებელი" იზრუნებს, რომელმაც "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში ჯერ კიდევ 2004 წელს გაიმარჯვა. რვა ვაგონისაგან შემდგარი მატარებლის რეაბილიტაცია 3,9 მილიონი ლარი დაჯდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 13/09 | 14/09 | 15/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 23 | 25 | 24 |
| რიგა | 22 | 22 | 24 |
| ვილნიუსი | 21 | 21 | 23 |
| მოსკოვი | 19 | 20 | 15 |
| მინსკი | 22 | 22 | 26 |
| პარიზი | 26 | 26 | 21 |
| რომი | 27 | 25 | 28 |
| ლონდონი | 24 | 20 | 21 |
| მადრიდი | 27 | 22 | 19 |
| ბონი | 27 | 21 | 22 |
| ვარშავა | 22 | 22 | 24 |
| ათენა | 26 | 26 | 27 |
| ბერნი | 23 | 18 | 24 |
| ამსტერდამი | 23 | 22 | 21 |
| ოსლო | 20 | 20 | 20 |
| ანკარა | 24 | 25 | 25 |
| ვარნა | 22 | 23 | 25 |
| დელი | 46 | 45 | 42 |
| ტოკიო | 24 | 22 | 23 |
| კოპენჰაგენი | 20 | 20 | 21 |
| ბაქო | 21 | 22 | 23 |
| ერევანი | 25 | 26 | 30 |
| ასტანა | 14 | 8 | 12 |
| ჰელსინკი | 18 | 18 | 15 |
| დუბლინი | 15 | 15 | 16 |
| ლისაბონი | 23 | 22 | 25 |
| პრაღა | 22 | 22 | 23 |
| სოფია | 23 | 23 | 26 |
| ბუდაპეშტი | 26 | 26 | 25 |
| ბუხარესტი | 25 | 27 | 28 |

# ახალ ბიზნესებს სამშენებლო კოდექსი დაარეგულირებს

### სამშენებლო საქმით 100-ზე მეტი კომპანიაა დაკავებული

თინა შავაძე

საქართველოში სამშენებლო საქმე, ბოლო ხუთი წელია, მომგებიან ბიზნესად გადაიქცა. საინფორმაციო ცენტრ 09-ის მონაცემებით, მშენებლობით დაკავებულია 100-ზე მეტი კომპანია და მასთან დაკავშირებული დეველოპერი, მშენებელი, ბანკი, უძრავი ქონების აგენტი, არქიტექტურა, პროექტირება და კიდევ ბევრი კერძო და სახელმწიფო ორგანიზაცია. თუ როგორ აპირებს ხელისუფლება სამშენებლო ბიზნესის დარეგულირებას, ამ საკითხზე "24 საათს" პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი ესაუბრა.



- სამშენებლო საქმიანობაში ჩართული მეწარმე-სუბიექტები ძალიან დაბნეულები არიან. ბევრი კანონი გაუქმდა, დანარჩენებმა არსებითი ხასიათის ცვლილება განიცადა. ამან კი მშენებლობის პროცესში ისეთი ქაოსი წარმოშვა, რომ ბუნდოვანია, მშენებლობის პროცესში ვის რა უფლებამოსილება ეკისრება. პარლამენტში გადავწყვიტეთ, "საქართველოს სამშენებლო კოდექსის" სახით ერთიანი სრულყოფილი დოკუმენტი შეგვექმნა. თავდაპირველად პარლამენტში კოდექსის კონცეფცია დაიწერა. კოდექსის შემუშავების პროცესში ჩართული არიან ექსპერტები, სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები, დეპუტატები. კეთდება მარტივი, გასაგები სამშენებლო კოდექსი, სადაც გაწერილი იქნება როგორც არქიტექტურული, ისე სამშენებლო საქმიანობის საკვანძო საკითხები.

**- კოდექსის პროექტზე ეკონომიკის სამინისტროში, რამდენიმე თვეა, მუშაობენ. საინტერესოა, აქამდე რატომ არ მოხდა დოკუმენტის საჯარო განხილვა?**

- სამუშაო ჯგუფმა "საქართველოს სამშენებლო კოდექსის" კონცეფცია ორ გაფართოებულ შეხვედრაზე განიხილა. დოკუმენტთან დაკავშირებით ბევრი შენიშვნა გაკეთდა, პრინციპულ საკითხებზე ხელისუფლებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის შეთანხმება მიღწეულია. მსგავსი შეხვედრა ოქტომბერში კვლავ გვექნება და, ვფიქრობ, მუშა ჯგუფი დეკემბრის ბოლოს "საქართველოს სამშენებლო კოდექსის" კონცეფციის კანონპროექტად ჩამოყალიბებას დაასრულებს. საბოლოო ჯამში, საგაზაფხულო სესიაზე დავიწყებთ კოდექსის განხილვას, რომელიც ძალიან თანამედროვე იქნება.

**- კონცეფციიდან ჩანს, რომ ბევრი საკითხი სადავოა და კოდექსის რამდენიმე პრინციპი თანამედროვე სტანდარტებს ვერ პასუხობს.**

- ოქტომბერში კოდექსის მუხლობრივი ჩამოყალიბება დასრულდება. ორი მთავარი საკითხი არის სადავო და ნათლად ჩამოსაყალიბებელი. ობიექტის არქიტექტურა, პროექტირება და თავად მშენებლობის პროცესი ერთმანეთისგან ისე უნდა გაიმიჯნოს, რომ ნათლად იყოს გარკვეული, რა შემთხვევაშია სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილება მისაღები. მაგალითად, თუ რომელიმე რაიონში ტერმინალი შენდება, მაშინ ობიექტის არქიტექტურა კერძო პირმა და რაიონმა კი არ უნდა დაამტკიცოს, არამედ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილმა სამსახურმა. დანარჩენ შემთხვევაში არქიტექტურისა და მშენებლობის ნებართვა გამარტივებული მექანიზმით უნდა დამტკიცდეს.

**- ამ ეტაპზე მშენებლობის ექსპერტიზისა და ნებართვების სისტემა, ფაქტობრივად, გაუქმებულია. სამომავლოდ სახელმწიფოს მხრიდან როგორ დარეგულირდება სამშენებლო ბიზნესი?**

- მშენებლობის საქმის ყველა მიმართულებას სათანადო კანონები არეგულირებდა, მომავალი წლიდან ყველა ეს კანონი კოდექსში გაერთიანდება. მეწარმე-სუბიექტებს ნებართვის მისაღებად უამრავ სამსახურში სიარული აღარ მოუხდებათ.

**- ასეთი ლიბერალური მიდგომით მოხდა ის, რომ მოსკოვში ახლად აშენებული ორი ობიექტი ჩამოინგრა, თბილისშიც ბევრი სახლი დაბზარულია ან საძირკვლიდან გადახრილი. კოდექსში რა ფორმით იქნება დაცული დამკვეთის უფლება?**

- ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. კოდექსში დეტალურად იქნება გაწერილი დამკვეთის უფლებამოვალეობის შესახებ. რაჭაში სახელმწიფო დაკვეთით წყალსადენის რეაბილიტაცია განხორციელდა, მაგრამ წყალი ცოტა მოდიოდა და სამუშაოს დასრულების შემდეგ წყალსადენში წყალი საერთოდ აღარ მოდის. კონტროლის პალატამ ობიექტის შემოწმების შედეგად აღმოაჩინა, რომ მისი რესტავრაცია არასწორად შედგენილი პროექტით მოხდა და სამშენებლო კომპანია უდანაშაულო იყო. ასეთი შემთხვევები ხშირია, როცა ცუდი პროექტის გამო მშენებლებს სახლი არასწორად აუშენებიათ. ფაქტობრივად, ამ დროს პასუხისმგებელია ის, ვინც პროექტი დაამტკიცა - არქპროექტკონტროლი, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობით ყველაფერი მშენებელს ბრალდება.

**- ფაქტობრივად, სამშენებლო საქმეში სხვადასხვა მიმართულების ბიზნესსექტორებია ჩართული. ამდენად, მათი რეგულირება ერთი კოდექსის ფარგლებში შეუძლებელი იქნება?**

- ქვეყანაში სამშენებლო საქმე, ბოლო ხუთი წელია, ახალი ფორმით წარიმართება. ობიექტის დამკვეთი - დეველოპერი ერთი იურიდიული პირია, მშენებელი - მეორე, დამფინანსებელი - მესამე, გამყიდველი - მეოთხე და ასე შემდეგ. ფაქტობრივად, სამშენებლო საქმის ყველა ცნობილი კომპანია დეველოპერია და არა მშენებელი. მას აქვს ფული, იდეა, პროექტი, რომელსაც სხვა კომპანიას აწვდის და სახლს აშენებინებს. მოკლედ, სამშენებლო საქმეში ბევრი ახალი ბიზნესი შემოვიდა, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო ველარ არეგულირებს.

**- ამის გამო ბევრი მოქალაქე დაზარალდა. მათ სახლის მშენებლობაში გადახდილი თანხები დაკარგეს, მაგრამ პასუხისმგებლობა არავის დაკისრებია.**

- ეს იმის გამო მოხდა, რომ შეიქმნა ამხანაგობები, ავარიული ბინებიდან ხალხი გასახლდა, მაგრამ ახალი მშენებლობა ვერ დაიწყო, რადგან სათანადო სამსახურები პროექტს არ ამტკიცებენ. სამაგიეროდ, ამ ხალხის ქუჩაში დარჩენაზე პასუხისმგებლობა არავის დაეკისრა. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ სახლის მშენებლობა დაიწყოს, ავიდეს მეხუთე სართულამდე და ამ დროს სამშენებლო კომპანია გაკოტრდეს, ხოლო პასუხისმგებლობა ვის დაეკისრება, გაურკვეველია. გვსურს, ყველა ასეთი გაურკვევლობა კოდექსით დარეგულირდეს.

# ყველაფერი გაძვირდა, ბინებიც...

პირველი გვერდიდან

მაგალითად, საშუალოდ 1 კვ.მ. კომერციული ფართობის ქირა 2002 წლის იანვარში თუ იყო 300 დოლარი (საბურთალოს რაიონი), 2006 წლის იანვარში 600 დოლარს გადასცდა; შესაბამისად, კომერციული ფართობის ფასი აღნიშნულ პერიოდში 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. ანალოგიური ტემპით იზრდებოდა საცხოვრებელი ფართობის ფასი და ქირაც.

ამავე პერიოდში კიდევ უფრო მაღალი ტემპებით გაიზარდა საცხოვრებელი შენობის "შავი კარკასის" (1 კვ.მ.) ღირებულებაც - 200-დან 700 დოლარამდე.

2006 წლის 1 იანვრისათვის, მაგალითად - საბურთალოზე, 1-ოთახიანი ბინის ფასი საშუალოდ 28 ათასი დოლარი იყო, 3-ოთახიანის კი - 55 ათასი დოლარი. ბინების ფასების ანალოგიური ზრდა დაფიქსირდა თბილისის სხვა რაიონებშიც (იხ. დიაგრამა N1). საქართველოში ბინების ფასის ზრდას სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს, რომელთაგან რამდენიმეს ავღნიშნავთ.

მაგალითად, ის, რომ საქართველო უცხოეთიდან ფულადი გზავნილების სახით მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს. ფულს დაახლოებით, 200-300 ათასი ემიგრანტი აგზავნის (საბანკო არხებით შემოსული თანხის მოცულობა წელიწადში 300 მლნ დოლარს აღწევს, ხოლო სხვადასხვა არაოფიციალური დათვლებით იგი დაახლოებით 1 მლრდ დოლარს შეადგენს), რომლის გარკვეული ნაწილი უძრავი ქონების შეძენაზე იხარჯება. გარდა ამისა, ბოლო დროს სერიოზული კონკურენცია არსებობს ბინათმშენებელ კომპანიებს შორის; შავი კარკასის 1 კვ.მ. ფასის ზრდა კი მეორადი ბინების ფასების მნიშვნელოვან გაძვირებას უწყობს ხელს.

ბინათმშენებლობის განვითარებას და ბინების ფასის ზრდას იწვევს, აგრეთვე, სამშენებლო მასალებისა და მშენებელთა შრომის ანაზღაურების სიძვირეც;

ამ ასპექტით აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც: როგორც ცნობილია, მოსახლეობის ბინით დაკმაყოფილებას ხელი უნდა შეუწყოს იპოთეკურმა სესხებმა. ბოლო ხანებში ამ სახის სესხების მოცულობები ქვეყანაში საკმაოდ გაიზარდა. ამასთან, როგორც ჩანს, ამ სახის სესხები თუ ერთი მხრივ ადამიანს ეხმარება ბინის შეძენაში, მეორე მხრივ ის ბინების ფასის გაზრდასაც იწვევს.

კერძოდ, მას შემდეგ, რაც უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მშენებლობის ბუმი დაიწყო, განსაკუთრებით აქტუალური გახდა იპოთეკური სესხი, რომელსაც ბანკები ბინების მშენებლობის, შეძენის ან რემონტისათვის გასცემენ (სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 14%-ია), რაც ფასების კიდევ უფრო ზრდას იწვევს. ასეთ სესხზე მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მიუწვდება ხელი; თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფასების ასეთი კატასტროფული ზრდისას შეუძლებელია, საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახმა იგი შეიძინოს. გამოდის, რომ ბინის შეძენა რიგითი თბილისელისათვის ოცნების საგანი ხდება. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა დიდ ქალაქებშიც: ქუთაისში, ბათუმში, თელავში და ა.შ.

### ბინები მხოლოდ საქართველოში არ ძვირდება...

როგორც ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, ბინების ფასის ზრდას თითქმის მთელ მსოფლიოში (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) აქვს ადგილი. მაგალითად, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში 1 კვ. მ. ბინის ფართობი 2500 დოლარი ღირს. აქ ბინების ფასები ასტრონომიული ტემპებით იზრდება. მაგალითად, 1. კვ. მ. ბინის ფასი 2006 წლის იანვარში ვარშავაში ღირდა 1570, ხოლო ივნისში - 1899 დოლარი. იმავე პერიოდში კრაკოვში 1კვ.მ. ბინის ფართობის ფასი 1355-დან 1670 დოლარამდე გაიზარდა. ბინების ფასების ასეთივე ტემპით ზრდას ადგილი ჰქონდა ვროცლავში, გდანსკში, პოზნანში და სხვა მსხვილ ქალაქებში.

ფასების ასეთი ზრდა კი იმას გვიჩვენებს, რომ, მაგალითად, 55 კვ.მ-იან ბინაში ვარშავასა თუ კრაკოვში 2006 წლის ივნისში მყიდველს უნდა გადაეხადა 17,5 ათასი დოლარით მეტი, ვიდრე გასული წლის ბოლოს.

პოლონელ ექსპერტთა აზრით, ბინების ფასების ზრდის მიზეზია იმის შიში, რომ მომავალში მათი ფასები კიდევ უფრო გაიზრდება. ამ შიშის ატმოსფეროს კიდევ უფრო ამძაფრებს მასმედია, რომელიც რეგულარულად აცხადებს, თითქოს მომავალში ფასები კიდევ უფრო მოიმატებს.

ასეთ სიტუაციაში მაღალი ტემპებით იზრდება ასევე იპოთეკური კრედიტის საერთო მოცულობა. მაგალითად, პოლონეთის ბანკების ასოციაციის განცხადებით, 2006 წლის მაისში ამ ქვეყნის ბანკებმა გასცეს 4 მლრდ 63 მილიონი დოლარის ეკვივალენტური თანხა, რაც თითქმის 50 პროცენტით აღემატებოდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდში გაცემული კრედიტების მოცულობას.

მართალია, პოლონეთში ბინების ფასების ზრდას ხელს უწყობს იპოთეკური კრედიტი, მაგრამ იგი თანდათან იაფდება. მაგალითად, 6 წლის წინ ქვეყნის მოქალაქეს ბანკიდან 40 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი (1 დოლარი დაახლოებით 3 ზლოტის ტოლია) 25 წლით რომ გამოეტანა, მას პროცენტის სახით ყოველთვიურად 840 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა. ცხადია, ასეთ კრედიტს იშვიათად თუ ვინმე იღებდა. დღეს 40 ათასი აშშ დოლარის აღების შემთხვევაში მსესხებელი თვეში იხდის მაქსიმუმ 300 აშშ დოლარს. და ეს მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში საშუალო ხელფასი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა. პოლონეთში პოპულარული გახდა ასევე შესაძენი ქონების ღირებულების 100%-ის ოდენობით კრედიტის გაცემა. თუ ერთი წლის წინ ამ სახის კრედიტს იღებდა ვარშაველთა 1\4, ახლა იღებს - 1\3.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ამჟამად პოლონეთში ძალზე გავრცელდა ასევე კრედიტის საფუძველზე ბინის შეძენა, მისი შემდგომ უფრო სარფიანად გასაყიდად. ბინის მყიდველთა თითქმის ყოველი მეხუთედი სწორედ იმიტომ ყიდულობს მას, რომ გააქირაოს და ამ გზით რეგულარული შემოსავლის წყარო გაიჩინოს.

პოლონეთში ბინების ფასის ზრდაზე ზემოქმედებენ ასევე უცხოელები. შესაბამისი გამოთვლებით ცხადი ხდება, რომ მსხვილ პოლონურ ქალაქებში (განსაკუთრებით, მათ ცენტრებში) მშენებარე ბინების მეათედს აფინანსებენ ბრიტანელები, ირლანდიელები და ესპანელები. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით იმ რაიონებში და ისეთ ბინებს ყიდულობენ, რომლებსაც შემდგომ სარფიანად გაყიდიან ან გააქირავებენ. მშენებელთა განცხადებით, მსხვილი პოლონური ქალაქების ცენტრებში აშენებული ბინების 80%-მდე (!) უკვე უცხოელთა ხელშია.

პოლონეთში ბინების ფასს ზრდის ასევე ის გარემოება, რომ ქვეყანაში გაცილებით დიდია მასზე მოთხოვნა, ვიდრე მიწოდება. კერძოდ, 2006 წლის პირველ ნახევარში ექსპლუატაციაში შევიდა 50 ათასამდე ახალი ბინა, ანუ თითქმის იმდენი, რამდენიც მთელი წინა წლის განმავლობაში.

ასეთი სიტუაცია განაპირობებს იმასაც, რომ ადამიანს ბინისათვის მოცდა უწევს, და ეს დრო იზრდება. კერძოდ, თუ ორი წლის წინ ვარშავაში ახალი ბინის მისაღებად ადამიანს 197 დღე სჭირდებოდა, ახლა ეს პერიოდი გაზრდილია 370 დღემდე. კრაკოვში ანალოგიურ პერიოდში მოცდის დრო 169 დღიდან გაიზარდა 500 დღემდე.

პოლონეთში ბინებს აძვირებს სამშენებლო მიწების ფასის ზრდა (მაგალითად, ბოლო ერთი წლის მანძილზე მიწის ფასი ვარშავაში 60%-ით გაიზარდა), სამშენებლო მასალებისა და მშენებელთა შრომის ანაზღაურების გაზრდის აუცილებლობა და სხვ. ცნობილია, რომ განსაკუთრებით ბოლო წლებში მრავალმა პოლონელმა მშენებელმა მაღალი შემოსავლის ძიებაში დატოვა სამშობლო და საზღვარგარეთ წავიდა. ამიტომ სამშენებლო ფირმები იძულებული ხდებიან, ქვეყანაში დარჩენილი მშენებლები მაღალი ხელფასებით მიიზიდონ.

ბინების ფასებს ზრდის ასევე მშენებელ კომპანიათა მაღალი მარჟა. დღეს სამშენებლო ფირმების საშუალო მარჟა 20-25 პროცენტს შეადგენს, ხოლო თუ მას სამშენებლო მიწის ფართობი წლების წინ აქვს შეძენილი, იგი შეიძლება 100 პროცენტიც კი იყოს.

ზოგიერთი ექსპერტის გაანგარიშებით უძრავი ქონების ფასების ცვლილებისათვის დამახასიათებელია 10-წლიანი ციკლები. ასე მოხდა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში და ესპანეთში. მისთვის დამახასიათებელია საშუალო წლიური ზრდა 3 პროცენტის ოდენობით (ინფლაციის გამოკლებით).

ასეთ პირობებში ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს, თავის უბინაო მოსახლეობას ბინის შეძენა შეღავათიანი კრედიტების მიცემით გაუადვილოს. მაგალითად, პოლონეთში სხვა ჩვეულებრივ პირობებში ადამიანს თუ შეუძლია, იპოთეკური სესხი 5 პროცენტად აიღოს, სახელმწიფო მას ეხმარება და აძლევს შესაძლებლობას, იგივე კრედიტი 1,9 პროცენტად აიღოს.

უძრავ ქონებაზე ფასები მაღალი ტემპებით იზრდება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. აქ ეს ტემპები მინიმუმ 10 წლის მანძილზე შენარჩუნდება. აღნიშნულ რეგიონში ფასების გაზრდა, ერთი მხრივ, გამოიწვია ამ ქვეყნების ევროკავშირში მიღებამ 2004 წლის 1 მაისს და, მეორე მხრივ, ამ ქვეყნებიდან დასავლეთ ევროპაში მრავალი ახალგაზრდის წასვლამ. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, დასავლეთ ევროპაში მათი სამუშაოდ წასვლის უმთავრესი მიზანია ფულის დაგროვება, რათა სამშობლოში დაბრუნებულებმა საცხოვრებელი ბინის შეძენა შეძლონ.

### თითქმის მსგავსი სიტუაციაა რუსეთშიც

ბინების ფასები გაიზარდა მოსკოვშიც. 2006 წლის I ნახევარში ბინები 50%-ით გაძვირდა. კერძოდ, თუ 2005 წლის ოქტომბერში აქ 1 კვ.მ. საბინაო ფართობის ფასი შეადგენდა მხოლოდ 2 ათას დოლარს, მიმდინარე წლის ივლისის დასაწყისში იგი 3500 დოლარი გახდა. მოსკოვი რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ძვირი ქალაქია, აქედანაც ჩანს.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მაღალი ფასების პირობებში დაწყებული მშენებლობათა ნაწილი (დაახლოებით 30%) დაკონსერვებულია ფასების კიდევ უფრო გაზრდის გამო. ცხადია, ესეც ზრდის ბინების ფასებს. შედეგად, უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნა 2,5-ჯერ აღემატება მიწოდებას.

ამა წლის მაისის თვეში რუსეთში უძრავ ქონებაში ფულის ჩადება 10-ჯერ უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე ბანკში გრძელვადიან დეპოზიტზე.

რუსული იპოთეკისათვის დამახასიათებელია დიდი თავდაპირველი შესატანი (მაგალითად, ბინის ღირებულების თითქმის მესამედი), მოკლევადიანობა (დანარჩენი თანხის 5-10 წლის მანძილზე დაბრუნება), მაღალი საპროცენტო განაკვეთი (თითქმის 20% გადასახადი კრედიტზე) და ეს მაშინ, როდესაც რუსეთში საშუალო ხელფასი დაახლოებით 600 დოლარია.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ბინების ფასების ზრდაზე როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებშიც მოქმედებს სხვადასხვა მიზეზი, რომლის გვერდის ავლაც დღევანდელი გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში შეუძლებელია.